# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 თებერვალი, 2009 წელი.

№ 27 (6128)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## საქართველოს დესუვერენიზაცია

### АПН-ის ამ წერილს ვბეჭდავთ უკომენტაროდ, რათა შევიცნოთ, ვინ მოყვარეა და ვინ – მტერი



8

პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ის რეჟიმია ლეგიტიმური, რომელიც მეგობრულად ეკიდება რუსეთს, სხვები დასაწუნი და შესაცვლელია. სწორედ ეს არის რეგიონში მშვიდობისა და აყვავების ერთადერთი შესაძლებელი გზა.



## პრეზიდენტმა პარლამენტს ანგარიში ჩააბარა

გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტში გააკეთა მოხსენება ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მოხსენების შემდეგ პრეზიდენტმა მონაწილეობა მიიღო თავის გამოსვლასთან დაკავშირებით გამართულ დებატებში და უპასუხა როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენელთა კითხვებს.

## ნოდარ სარჯველაძე:



### ოპოზიცია პარლამენტში რომ შესულიყო, ომი არ დაიწყებოდა

3

## რატომ ვერ ჩამოვიდა რუსეთის სახალხო დამცველი საქართველოს ომბუდსმენის აპარატის 10 წლის იუბილეზე?



## ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში სააკაშვილის გამოსვლა უპასუხისმგებლო იქნება

2

## როგორ გავიგოთ, ვინ რა კაცია?

7

## ჯოჯოხეთგამოვლილი



6

ჩვენ რომ ვაპატიოთ, ამ საქმის ჩამდენთ ღმერთი არ აპატიებს. ყველა ქართველის სახლში ხატების კუთხე იყო. სახლებთან ერთად ის ხატები და ჯვრებიც დაიწვა. ამას მათ უფალი არ აპატიებს...



## ობამა ხელს შეუწყობს სამეცნიერო განათლებას! ჩვენი განათლების სიმბოლო კი თუთბერიძეა?!

5

◎ რადიკალური ოპოზიცია

# ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ პარლამენტში სააკაშვილის გამოსვლა უკანასკნელი იქნება

**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილმა პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა გააკრიტიკა და პრესკონფერენციაზე თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ეს გამოსვლა სააკაშვილისთვის უკანასკნელი იქნება.**



— ოდნავ თავმოყვარე პრეზიდენტი წაგებული ომის შემდეგ თავს თუ არ მოიკლავდა, გადადგებოდა მაინც. მას კი თავხედობა ჰყოფნის პარლამენტში მისასვლელად და დემოკრატობანას სათამაშოდ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს მისი უკანასკნელი ვოიაჟი იქნება საკანონმდებლო ორგანოში. ვფიქრობ, დებატები ისეთ პრეზიდენტთან იმართება, რომელსაც ქვეყნის მართვის არანაირი უფლება არა აქვს.

შალვა ნათელაშვილი გამოსავალს პრეზიდენტისთვის იმპიჩმენტის მოწყობაში ხედავს. მისი განცხადებით, ლეიბორისტულმა პარტიამ შესაბამისი დოკუმენტი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტში ერთი თვის წინათ შეიტანა და იმედი აქვს, რომ მას საპარლამენტო ოპოზიციაც მოაწერს ხელს. ბატონი შალვას თქმით, ამ საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ზოგიერთმა პარლამენტარმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ მათი სახელები არ დაუსახელებია.

შალვა ნათელაშვილმა ასევე დასძინა, რომ დოკუმენტი იმპიჩმენტის შესახებ ასევე საქართველო-რუსეთის ომის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელ საერთაშორისო კომისიის ხელმძღვანელს ჰაიდი ტალიავინს გადაეცა, რომელიც დოკუმენტში წარმოდგენილ ბრალდებებს თავის დასკვნაში გაითვალისწინებს.

— ჩვენი განაცხადი იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებასთან დაკავშირებით დევს პარლამენტის საპროცედურო კომიტეტში და მოვუწოდებთ საპარლამენტო უმცირესობას, სააკაშვილის ცხვირწინ ხელი მოაწერონ ამ დოკუმენტს.

**ანა წიწილაშვილი**

◎ ევროკავშირი

# ჰაიდი ტალიავინი: მისიას ომის დაწყების მიზეზებზე წინასწარ აკვიატებული აზრები არა აქვს

**საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი და ამავე მისიის წევრი უვე შრამი ქართველ ჟურნალისტა ერთ ჯგუფს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ შეხვდნენ. თავიდან შეხვედრა დახურული უნდა ყოფილიყო, რაც ნიშნავდა, რომ მასალის მომზადებისას შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებების ავტორთა მითითება დაუშვებელი იყო, მაგრამ გაირკვა, რომ დიპლომატებმა ამაზე უარი თქვეს და ნახევრადოფიციალური შეხვედრაც საინტერესოდ წარიმართა.**

**გთავაზობთ, ჩვენი აზრით, ამ საუბრის ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს.**

**ჰაიდი ტალიავინი:** საქართველოში კონფლიქტის ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა და დამოუკიდებელი სტატუსი მიენიჭა. მისია აქტიურად თანამშრომლობს ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რომლებიც საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენების დროს კონფლიქტის ზონაში საქმიანობდნენ. მისიაში ჩემს გარდა მუშაობენ ბატონი უვე შრამი და მირიან სტაშევსკი. მისიას ჰყავს მრჩეველთა საბჭოც, რომელშიც შედიან გაეროს სამშვიდობო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ჟან მარი გიენო, გერმანიის, პოლონეთისა და ავსტრიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრები. საბჭო მუშა ჯგუფს სახელმძღვანელოდ თეზისებს აწვდის.

მუშაობა ორი თვეა დავიწყეთ. ვიცით, დიდი სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ მისია თავის დასკვნას ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს ივლისის ბოლოსთვის წარუდგენს. დასკვნა წარედგინება, ასევე, გაეროს, ეუთოს და, რა თქმა უნდა, კონფლიქტის მხარეებს. მისიის ექსპერტები, ფაქტების დადგენის გარდა, იმუშავებენ ომამდე მხარეების საკანონმდებლო ორგანოების, სახედრო უწყებებისა და სამოქალაქო სექტორის მუშაობის საკითხებზე.

თბილისში ჩამოსვლამდე გაცნობითი შეხვედრა გვქონდა მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში. მისიამ მოსკოვსა და თბილისში თავისი მუშაობის მეთოდი შეათანხმა. მხარეებს წერილობით წარვუდგენთ კითხვებს და მათგანაც წერილობით პასუხებს ველოდებით. კმაყოფილი ვართ, როგორც ქართული, ასევე, რუსული მხარეების მზადყოფნით, აქტიურად ითანამშრომლონ მისიასთან. ვიმეორებ, დიდი სამუშაოს ჩატარება მოგვიწევს. საბოლოო დასკვნაზე მე, ბატონი უვე შრამი და ბატონი მირიან სტაშევსკი ვიმუშავებთ. ვიმედოვნებთ, რომ მისია დასკვნაზე მუშაობას ივლისის ბოლოსათვის დაასრულებს და ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს, ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას წარუდგენს.

**რადიო „თავისუფლება“ — კობა ლიკლიკაძე: მისიის ამოცანაა ომის დაწყების მიზეზების დადგენა, თუ იმის დადგენა, ვინ დაიწყო ომი?**

**ჰაიდი ტალიავინი:** მისიის მანდატი კონკრეტულად არის განსაზღვრული და მისი ამოცანაა ომის დაწყების მიზეზებისა და მიმდინარეობის ფაქტების დადგენა. ძალიან გვინდა, ობიექტურად მივუდგეთ ჩვენს საქმიანობას და ამიტომ მინდა გითხრათ, რომ მისიას ომის დაწყების მიზეზებზე წინასწარ აკვიატებული აზრები არა აქვს.

**გაზეთი „კვირის პალიტრა“ — ირაკლი ალადაშვილი: გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრის გია ყარყარაშვილის შეხედულებები ომის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მასში წუთობრივად არის შესწავლილი ომის მიმდინარეობა. საქმის შესწავლისას გამოიყენებთ თუ არა ქართველ ექსპერტთა მოსაზრებებს?**

**ჰაიდი ტალიავინი:** ჩვენ გამოვიყენებთ ყველა მასალას, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო იქნება ჭეშმარიტების დადგენაში.

**ინტერნეტგამოცემა „ახალი კავკასია“: თუ დაინტერესდებით ქართველი სამხედრო ტყვეების ბედით?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ როცა ვსაუბრობთ საომარი მოქმედების მიზეზებისა და მიმდინარეობის ფაქტების დადგენაზე, რა თქმა უნდა, დავინტერესდებით ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებით და მათ შორის ტყვეების ბედით.

**გაზეთი „რეზონანსი“ — ელისო ჩაფიძე: როგორ ჩაიარა შეხვედრამ მოსკოვში? ვის შეხვდით რუსეთის დედაქალაქში და რამდენად არის მზად რუსული მხარე, ითანამშრომლოს თქვენ მისიასთან?**

— მოსკოვში ჩვენ შეხვედრა გვქონდა რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, ასევე, რუსეთის სათათბიროში. ჩვენ მუშაობა მხოლოდ ახლა დავიწყეთ. მოსკოვსა და თბილისში შევთანხმდით მისიის მუშაობის მეთოდზე. ჩვენ მხარეებს წერილობით მივაწვდით კითხვებს და შემდეგ მათგან ასევე წერილობით მივიღებთ პასუხებს. ორივე დედაქალაქში გამართული შეხვედრებით კმაყოფილი ვართ. რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებები მზად არიან, აქტიურად ითანამშრომლონ ჩვენს მისიასთან.

**„ინტერპრესნიუსი“ — კობა ბენდელიანი: ავსტრიულმა გაზეთმა „Die Press“-მა მისიის თანათავმჯდომარეებად გერმანიის, ავსტრიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა ექს-მინისტრები გამოაცხადა. თქვენ რას უკავშირებთ ამგვარი უზუსტობის ავსტრიულ პრესაში დაბეჭდვას?**

**ჰაიდი ტალიავინი:** ასეთი ფაქტი მართლაც მოხდა, მაგრამ გარწმუნებთ, ეს მხოლოდ უნებლიე შეცდომა იყო. ჩვენ ამ პუბლიკაციის გამო სპეციალური განცხადება გავავრცელეთ. უნდა გითხრათ, რომ მისიის ხელმძღვანელს არა ჰყავს თანათავმჯდომარეები.

**„ინტერპრესნიუსი“ — კობა ბენდელიანი: რატომ არ არიან მისიაში შეუბღალავი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო სამართლის ცნობილი ექსპერტები? მაგალითად, ანტონიო კასესე, რომელიც მილოშევიჩის საქმეს იძიებდა და სულ ახლახან ლუანდაში გენოციდის საქმე წარმატებით დაასრულა. გასაგებია, რომ მან 2008 წლის 1 სექტემბრს გაზეთ The Guardian-ში რუსეთი საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევაში დაადანაშაულა. ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენს მისიაში უკვე მუშაობს გერმანელი პოლკოვნიკი ლანგტონი, რომელმაც ომის დასრულების შემდეგ აშკარად ანტიქართული სტატია გამოაქვეყნა...**

**ჰაიდი ტალიავინი:** ბატონი კასესე მართლაც საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტია. ექსპერტებთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ მათი სიის შედგენა ჯერ არ დასრულებულა. მისიაში საკმაოდ ბევრი გამოცდილი დიპლომატი და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. მისიას ივლისამდე საკმაოდ ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით, ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინა გვაქვს.

**ინტერნეტგამოცემა „ახალი კავკასია“: წერილობითი კითხვებით მიმართავს თუ არა მისია ულიარებელი რესპუბლიკების ხელისუფლებას და როგორ მოიქცევით, თუ სოხუმმა და ცხინვალმა აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში თქვენი მისიის შეშვებაზე უარი განაცხადა?**

**ჰაიდი ტალიავინი:** ამაზე პასუხი მას შემდეგ მექნება, როცა შევხვდები სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებს.

**უვე შრამი:** ჩვენ მათ თანამშრომლობას შევთავაზებთ. თუ თანამშრომლობაზე უარი თქვეს, ესეც საბოლოო დასკვნაში აისახება.

**„ინტერპრესნიუსი“ — კობა ბენდელიანი: შეისწავლის თუ არა მისია საომარი მოქმედებების დაწყებამდე აფხაზური და სამხრეთ ოსური კონფლიქტის ისტორიულ ასპექტებს, კონფლიქტის ზონებში რუსეთის მიერ სამხედრო ძალების შეყვანის ფაქტებს, პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის განკარგულების კანონიერებას და იმ გარემოებას, რომ რუსული მხარე ომამდე ბლოკავდა ქართული მხარის ყველა სამშვიდობო ინიციატივას, მათ შორის სამშვიდობო ოპერაციაში ევროკავშირის მონაწილეობას?**



**ჰაიდი ტალიავინი:** დიახ. ჩვენი სურვილია, მისიის დასკვნა იყოს სრული და ობიექტური. დასკვნა ასეთი ვერ იქნება, თუ ყველა ის საკითხი და მრავალი სხვა არ იქნა ზედმიწევნით შესწავლილი, რომელიც თქვენ დაასახელეთ.

ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტის ისტორიულ ასპექტზე ყურადღების გამახვილება. მთავარია, მისიას არ გამორჩეს ყველა ის ასპექტი, რამაც შექმნა ომის დაწყების შესაძლებლობა.

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

## კვირის ბოლოს გვეცოდინება, გაგრძელდება თუ არა გაეროს მისია საქართველოში

**გაეროს უშიშროების საბჭო იმედოვნებს, რომ საქართველოში გაეროს მისიის მანდატი გაგრძელდება.**

**როგორც გაეროს ვებგვერდი იუწყება, ამის შესახებ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ, იაპონიის წარმომადგენელმა იუკიო ტაკასუმ განაცხადა.**

**მისივე თქმით, მისიის მანდატის შესახებ გადაწყვეტილება კვირის ბოლომდე უნდა მიიღონ, რამდენადაც მანდატის ვადა 15 თებერვალს იწურება.**

**— ახლა უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოების ჯგუფი ამ საკითხზე მუშაობს. პროექტი დოკუმენტის სახით ამ დროისთვის არ გავრცელებულა, — განაცხადა ტაკასუმ.**

## ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ ჩვენთან ვიზიტი გადადო

**ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დორა ბაკოიანისმა საქართველოში დაგეგმილი ვიზიტი გადადო.**

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ბაკოიანისმა გეგმები შეცვალა და მინისტრს განუცხადა, რომ იგი საქართველოში ეუთოს მისიის გაგრძელების დოკუმენტზე იმუშავებს.**

**შარშან დეკემბერში რუსეთმა მისიის გაგრძელებას, რომელიც საქართველოში 16 წლის განმავლობაში მუშაობდა, ვეტო დაადო და საქართველოსა და სეპარატისტული რეგიონებისათვის ცალკე მისიის შექმნა მოითხოვა.**

**ჯერჯერობით დოკუმენტის ტექსტი უცნობია, თუმცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან გამართული შეხვედრის შემდეგ ბაკოიანისმა განმარტა, რომ დოკუმენტი რომელიმე მხარის მიერ „წითელი ხაზის“ გადაკვეთას არ გულისხმობს.**

**გრიგოლ ვაშაძის განმარტებით, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე საქართველოს შესაძლოა, მარტის დასაწყისში ეწვიოს.**

## რუსეთი სამხედრო ხარჯების შემცირებას არ აპირებს

**ფინანსური კრიზისი რუსეთის სამხედრო ძალების შეიარაღების პროცესში კორექტივებს არ შეიტანს. ამის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა სამხედრო ინსტრუქტორებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.**

**ვლადიმერ პუტინის განმარტებით, რუსეთის შეიარაღებისა და ტექნიკის მოდერნიზაციისათვის 2009 წელს მილიარდ 300 ათასი რუბლი გამოიყოფა.**

**2011 წლამდე კი, ამ მიზნებისთვის 4 მილიარდი რუბლი დაიხარჯება.**

ინტერპრესნიუსი,
ХО-ЭИВ-ЭНИ

სიტუაცია

# ნოდარ სარჯველაძე: ოპოზიცია პარლამენტში რომ შესულიყო, ომი არ დაიწყებოდა



***ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე ყოველთვის პოლიტიკური პროცესების საინტერესო ანალიზს გვთავაზობს. ამჯერად მასთან საუბარი პრეზიდენტის ვრცელმა სატელევიზიო გამოსვლამ განაპირობა, როცა მან ხალხის შეკითხვებს უპასუხა.***

— პრეზიდენტის ტელეშეხვედრას ხალხთან პოპულიზმად შევაფასებდი. პოპულიზმი დროებით მოგებას იძლევა. საკუთარ თავს უფლებას ვაძლევ, როგორც მოყვასს, პირში ვუთხრა, რომ პოპულიზმი და იაფფასიანი დაპირებები არ არის საჭირო. პრეზიდენტობა არ ღირს იმად, რომ იაფად დაახურდავო შენი უდიდესი მისია ქვეყნის წინაშე. დახურდავების პოლიტიკა მას არ ეკადრება, მთავარია ღირსების შენარჩუნება. მისი საქციელი კი თავის მოწონება და პიარია, მეტი არაფერი.

სამწუხაროდ, მოსახლეობაც ამ იაფფასიანი თამაშის ნაწილია. თავად კითხვა: რა გვეშველება? უკვე ნიშნავს იმას, რომ არაფერიც არ გვეშველება. კითხვაში ჩადებულია კოდი, რომ სიტუაციაა უსაშველო, და კონტექსტად მოიაზრება აქსიომა, რომ არაფერი არ გვეშველება. არასწორად დასმული და არასწორი სულისკვეთების გამომხატველი კითხვაა.

მოსახლეობა ჩივის, რომ წყალი არა აქვს... არა გაქვს და თავად გათხარე, ჩაყარე მილები და პირად ჰიგიენას მიხედე. ტანი თვითონ დაიბანე, პრეზიდენტი ტანს ვერ დაგბანს.

მოსახლეობას აურაცხელი რესურსი აქვს, რათა ეს პრობლემა თავად მოაგვაროს. ქართლის ერთ-ერთ სოფელში თავად შევესწარი, როგორ ჩიოდა ხალხი უწყლობას. სარწყავი სისტემა იყო მოშლილი. თურმე იქვე, 50 მეტრის სიახლოვეს მილების ჩაყრა იყო საჭირო. 2-3 ლარის შეკრება საკმარისი იყო, რომ თავად მოეწესრიგებინათ ეს პრობლემა. ერთს ვკითხე, რატომ არ აკეთებთ-მეთქი? მეორისკენ გაიშვირა ხელი — ის რომ არ მუშაობს, მე რატომ უნდა ვიმუშაოო, ანუ ერთმანეთს არგაკეთებაში ეჯიბრებიან. ამისთანა ადამიანებს პრეზიდენტი პრინციპულად არ უნდა დაეხმაროს. როცა ადამიანები ერთმანეთს არგაკეთებაში ეჯიბრებიან, სჯობს, ისინი სილატაკეში დარჩნენ და ასეთი ცნობიერებით იცხოვრონ. ძალიან რომ მობეზრდება ეს ყველაფერი, ბოლოს ადგება და მაინც გააკეთებს საქმეს.

**— პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ოპოზიციაც ირონიით მოიხსენია და თქვა, ტენდერი აქვს ლიდერზე გამოცხადებულიო.**

— ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთმანეთს ცინიკურად უყურებენ, თუმცა, ორივე ერთმანეთის ნაწილია. პრეზიდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ოპოზიცია მისი ნაწილია, და თუ ის უვარგისია, თავისი თავი უნდა შეეცოდოს ამის გამო. მან უნდა იზრუნოს სწორედ იმაზე, რომ ძლიერი ოპოზიცია ჰყავდეს. ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც ერთმანეთზე უნდა ილოცონ, რომ მაგრები გახდნენ. თუ მარტო მიშა, მაგარი და ესენი სუსტები, ამით ვერაფერს იგებს თავად მიშა. ანუ აქ არის ჯიბრი თამაშისა: „I am o.k you are bad“, „მე კარგი ვარ, შენ ცუდი ხარ!“ ამ თამაშს ეთამაშება პრეზიდენტი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც ოპოზიციაშია. პრეზიდენტს კი, თავის მხრივ, ოპოზიცია თავის თამაშს სთავაზობს — „მე კარგი ვარ, შენ კი — ცუდი!“ ასეთი შეჯიბრებითი დამოკიდებულება ვითარებას ვერ გამოასწორებს და ამიტომაც ერთ ადგილზე იტკეპნება, ბუქსაობს.

**— ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას დიდი ხანია ითხოვს. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ სააკაშვილის გადადგომაშია ძაღლის თავი დამარხული და ამ მიზნის შესრულების შემდეგ ცხოვრება საამური იქნება?**

— ეგ არაფერი მიზანი არ არის. ბრძოლად არ ღირს ერთი კაცის გადაგორება, თუ სანაცვლოდ არაფერი გვაქვს. ჯერჯერობით სანაცვლოდ არაფერი ჩანს. მეტსაც გეტყვით, არათუ არ ჩანს, არამედ გონიერი კაცი დღეს პრეზიდენტობაზე არ გაიქაჩება. თუ ბურჯანაძე, ან ალასანია, ან ვილაც იქაჩება, ეს არ ნიშნავს, რომ ის გონიერია. დღეს ხელისუფლებაში მოსვლა იმთავითვე წაგებული თამაშის თამაშს ნიშნავს. სიტუაცია ისე მძიმეა, რომ მისი გამოსწორება არავის შეუძლია... ეს უჭკუო თამაშია.

**— მთავრობაში განხორციელებული არაერთი ცვლილების მიუხედავად, მაინც ერთი და იგივე სახეები დომინირებს ქართულ პოლიტიკაში. კარგია ეს თუ ცუდი?**

— გივი თარგამაძე ავიღოთ, ის თან უვიცი და თან შეუვალია. ხალხს ცინიზმით ელაპარაკება — ნაძირლებს უწოდებს. მე თუ მკითხავთ, ის იმავე სიტყვებს იმსახურებს, რითაც მოსახლეობას მიმართავს. რანაირი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეა, როცა სახელმწიფოში საშიშროების სიტუაციას თავად ქმნის? ეს არის ყოვლად მოუქნელი და უვარგისი კადრი.

**— ჩვენ უკვე მეოთხე პრემიერ-მინისტრი გვყავს. ერთი გაზით გაიგუდა, მეორე ოპოზიციაში გადავიდა, მესამე „გადადგეს“, მეოთხე ავად გახდა... მეხუთემ „ნათურები“ გვაჩუქა...**

— ეს დიდი კრიზისის მაჩვენებელია. ეს არის სიმპტომი იმისა, რომ პრეზიდენტს ქვეყნის მართვა არ შეუძლია. პრემიერ-მინისტრი გვერდით ხომ უნდა ამოიყენოს. თუ ერთი კვდება თუ კლავენ, მეორე ავად ხდება, მესამეს კი პანღურით აგდებ და ოპოზიციაში ჩაგიდგება, ე. ი. ვერ მართავ ამ ქვეყანას, და გინდა, აქედან ისე გამოძვრე, რომ დაპირისპირების რეჟიმის გამოყენებით ხელისუფლება შეინარჩუნო. ეს ამას ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში, მესიჯი, ანუ შეტყობინება ასეთია.

**— რამდენად რეალურად გეჩვენებათ რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები და რას შეცვლის იგი?**

— ვგონებ, სისულელეა კიდევ მორიგ არჩევნებში ფულის დახარჯვა. ხელისუფლებაში ვინც არიან, ისევ ისინი გავლენ, ფული ტყუილად დაიხარჯება და ტყუილად აქვს ვინმეს იმედი, რომ ამ მთავრობას გადააგდებენ.

ალასანიას რეფერენდუმის იდეა აქვს, რაც უკვე იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი რეფერენდუმში ადმინისტრაციულ რესურსს გამოიყენებს და ვადამდელი არჩევნების იდეა არ გავა. ურეფერენდუმოდ არ ვიცი, როგორ ჩატარდება არჩევნები, ალბათ, პრეზიდენტმა უნდა გამოაცხადოს, გადავდექი და არჩევნებს დავნიშნავო, ანუ ის უფლებას დაიტოვებს, კენჭი ხელახლა იყაროს, ანუ კიდევ ერთხელ გაიხანგრძლივებს ხელისუფლებას. მას არ წაერთმევა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ანდა თავის კანდიდატურას წამოაყენებს, უგულავას, რომელიც პრეზიდენტის კლონირებული ერთეულია, ან ვილაც სხვას, ასევე, კლონირებულს. ან თვითონ მიიღებს მონაწილეობას, რატომაც არა?

უბედურებაა, რომ ოპოზიცია პარლამენტში არ შევიდა. რომ შესულიყო, ომი არ დაიწყებოდა.

**— რატომ?**

— ოპოზიცია უკვე 30 პროცენტით იქნებოდა პარლამენტში წარმოდგენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ აქტიური უმცირესობა გვეყოლებოდა, რომელიც აგვისტოს დღეებში გააააქტიურებდა ზემოქმედებას პრეზიდენტზე, აალაპარაკებდა მთელ მსოფლიოს და გაცილებით აქტიურ ნაბიჯებს გადადგამდა. თუ ვერ შეძლებდნენ ერთი კაცის შეჩერებას საკანონმდებლო ორგანოში, მაშინ რატომღა არიან პოლიტიკაში, ვერ გავიგე? ვგულისხმობ გამყრელიძეს, თუნდაც უსუფაშვილს, ნათელაშვილს...

**— ნათელაშვილმა პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო.**

— ვფიქრობ, თავისებურად დესტრუქციულები არიან, ძალაუფლებისთვის იბრძვიან, და არა საქართველოსა და მისი მოსახლეობისთვის.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

კონფერენცია

# რატომ ვერ ჩამოვიდა რუსეთის სახალხო დამცველი საქართველოს ომბუდსმენის აპარატის 10 წლის იუბილეზე?



**1995 წელს, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია მიიღეს, იქ ჩაიწერა, რომ ადამიანის უფლებების დაცვას ამიერიდან მეთვალყურეობას სახალხო დამცველი გაუწევდა. ერთი წლის შემდეგ, ომბუდსმენის ოფისმა ფუნქციონირება დაიწყო. ამ ორგანოს ჯერ დავით სალარიძე, შემდეგ ნანა დევდარიანი ხელმძღვანელობდა და ასე თანდათან იკიდებდა ფეხს ქართულ რეალობაში. ხუთი წლის წინათ ეს მანდატი სოზარ სუბარს ერგო.**

სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსების ათი წლისთავის აღსანიშნავად 11-12 თებერვალს სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ომბუდსმენის ოფისი 12 წლისაა, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო, ათი წლის იუბილეს აღნიშვნა გადაიდო — ჯერ 2007 წელს სახალხო მღელვარების, ხოლო 2008-ში — აგვისტოს ომის გამო.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ომბუდსმენები, ექსპერტები საბერძნეთიდან, ჰოლანდიიდან, შვედეთიდან, ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან, ესტონეთიდან, ერევნიდან, ყირგიზეთიდან.

**სოზარ სუბარმა** მადლობა გადაუხადა საბერძნეთის ომბუდსმენს იორგოს კამინის, რომლის ძალისხმევითა და დახმარებით მოხდა კონფერენციის ორგანიზება. მან აღნიშნა, რომ მოწვეული იყო რუსეთის სახალხო დამცველი ვლადიმერ ლუკინიც, რომელსაც ქართულმა მხარემ ვიზის მიცემაზე თანხმობა დაუგვიანა, როგორც ჩანს, შეგნებულად, და ამის გამო დიდად სამწუხაროდ, ვერ ჩამობრძანდა. ჩვენ ერთმანეთთან კავშირი გვქონდა აგვისტოს ომის დროს, ხშირად ვუკავშირდებოდით ევროპის საბჭოს კომისარს და დახმარებას ვთხოვდით ჰუმანიტარული მდგომარეობის გამო, — თქვა სახალხო დამცველმა და დასძინა, — 2 წლის დაგვიანებით იუბილეს რომ აღვნიშნავთ, ესეც კი მიუთითებს, რა მდგომარეობაა ჩვენთან ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

სუბარის განმარტებით, ომბუდსმენის აპარატში ხუთი წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა შემოსული განცხადებების რიცხვი. სახალხო დამცველის ფაქტორმა შეძლო, აღეკვეთა წამების ფაქტები სასჯელაღსრულების ადგილებში, დაეცვა დევნილთა უფლებები, შეეცვალა პოლიტიკა აზრის გამოხატვის მხრივ, თუმცა, ამ სფეროში მაინც რჩება უამრავი პრობლემა.

პრობლემებზე ისაუბრა ევროპის საბჭოს კომისარმა **თომას ჰამარბერგმა,** რომელიც საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვია კონფერენციას. მისი თქმით, თითქმის უამრავი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, თუმცა ევროპაში, „ძველი დემოკრატიის“ ქვეყნებშიც კი, კვლავ აქტუალურია მართლმსაჯულების საკითხი, ისევ არის რასიზმი, ქსენოფობია, დისკრიმინაცია გენდერული თანასწორობის მხრივ, ძალადობა ოჯახში და ბავშვების მიმართ.

საინტერესოდ გამოვიდა ყირგიზეთის ომბუდსმენი **ტურსუნბეკ აკუნი,** რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა თავისი ქვეყნის ხელისუფლება: ძალიან მძიმე მდგომარეობაა, — აღნიშნა მან, — თითქოს რესპუბლიკაში არავინ ზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, უამრავი ოპოზიციური გაზეთი გამოდის, მაგრამ ტელევიზია ისევ დახშულია. ჩვენმა პრეზიდენტმა უარი თქვა ამერიკის სამხედრო ბაზებზე ყირგიზეთში, მაგრამ საჯაროდ და ღიად ამის მიზეზი ჯერ არავის აუხსნია ხალხისთვის, არც კითხვა დაუსვამს ვინმეს.

2007 წელს მასობრივი მღელვარება სწორედ ასეთმა უსამართლობის განცდამ გამოიწვია, — უპასუხა სოზარ სუბარმა, — ხალხის მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო — „არ მეშინია!“ შეიძლება დასავლეთში ეს ფრაზა კარგად ვერ გააცნობიერონ, მაგრამ საბჭოთა სისტემაგამოვლილი ქვეყნები ადვილად მიხვდებიან. მეც არ მეგონა, თავისუფალ საქართველოში შიშის წინააღმდეგ თუ მომიწევდა ბრძოლა,— აღნიშნა ომბუდსმენმა, — ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა სახალხო დამცველის აპარატს, რომ ნდობა მოეპოვებინა, თორმეტმა წელიწადმაც უნაყოფოდ როდი ჩაიარა...

***„გერმანიაში ნაცისტები რომ კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ.***

***ებრაელებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ.***

***პროფკავშირებს მიადგნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვყოფილვარ.***

***კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ.***

***შემდეგ მე მომადგნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, ხმა რომ ამოეღო...“***

***მარტინ ნიმიოლერი,***
***გერმანიის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის პასტორი.***

**თეა მოსია**

**სიმართლე კი ასეთია**

# ცეცხლის ალში



**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა და დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობა ე. წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებული კონფლიქტის დროს**

**„ჰიუმან რაიტს ვოტჩის“-ის მიერ შედგენილი ანგარიშის რედაქტირებული ტექსტი**

## სახმელეთო ჯარების მოქმედება

**რუსმა სამხედროებმა გარკვეული როლი ითამაშეს ქართველთა სახლების მასობრივ ძარცვაში.** ისინი ხელს უწყობდნენ და მონაწილეობდნენ სამხედრო დანაშაულებში, თუმცა შედარებით ნაკლებად გამოკვეთილი ფორმით, ვიდრე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები, მაგრამ ჩვენ გამოვიძიეთ ოთხი შემთხვევა, რომლებშიც რუსმა სამხედროებმა აქტიური და აშკარა როლი შეასრულეს მაროდიორობაში.

„ჰიუმან რაიტს ვოტჩ“-მა ასევე დოკუმენტურად დაადასტურა ისეთი შემთხვევები, როდესაც რუსული ტანკები ახლო მანძილიდან ესროდნენ მოქალაქეთა სახლებს. რუსეთს, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა ეკისრება იმისთვის, რომ რუსეთის ჯარები საქართველოში, მათ შორის სამხრეთ ოსეთში, რომელიც საქართველოს დე იურე ნაწილია, საქართველოს ხელისუფლებისგან ნებართვის და მასთან შეთანხმების გარეშე შევიდნენ. აქედან გამომდინარე, რუსეთი ვალდებულია, დაიცვას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ოკუპაციის შესახებ, ვინაიდან რუსეთმა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებზე. რუსეთმა, როგორც ოკუპანტმა ძალამ საქართველოში, საერთოდ ვერ შეასრულა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით დაკისრებული ვალდებულება – შესაძლებლობისამებრ უზრუნველეყო საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამან შესაძლებლობა მისცა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებსა და უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებებს, დაეწყოთ თვითნებობა, მასობრივად გაეძარცვათ და გადაეწვათ ეთნიკური ქართველების სახლები და მოეკლათ, ეცემათ, გაეუპატიურებინათ და დაეშინებინათ მშვიდობიანი მოსახლეობა. ამასთან, 13 აგვისტოს რუსი სამხედროების მიერ გზებზე ბარიერების აღმართვამ პრაქტიკულად შეაჩერა ოსური ძალების მიერ წარმოებული მაროდიორობისა და სახლების გადაწვის კამპანია, მაგრამ ეს ბარიერები ერთი კვირაში მოიხსნა.

## დარღვევები სამხრეთ ოსეთის ძალების მხრიდან

**სამხრეთ ოსეთიდან ქართული ჯარების გასვლისთანავე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებმა და უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა სამხრეთ ოსეთში საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი სოფლების მიზანმიმართული და სისტემატური განადგურების კამპანია წამოიწყეს, რაც გამოიხატებოდა მასობრივ და სისტემატურ ძარცვასა და გადაწვაში, მშვიდობიანი მოსახლეობის ცემასა და დაშინებაში.** 10 აგვისტოდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც რუსეთის სახმელეთო ჯარებმა სამხრეთ ოსეთის სრული ოკუპაცია მოახდინეს და საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე შესვლა დაიწყეს, ოსური სამხედრო ძალები რუსებს კვალდაკვალ მიჰყვნენ და ეთნიკური ქართველების სოფლებში შევიდნენ.

სოფლებში ოსური სამხედრო ძალები შედიოდნენ სახლებში, სადაც ქართველ სამხედროებს ეძებდნენ, ქონებას იტაცებდნენ და სახლებს წვავდნენ. ისინი ასევე ფიზიკურად უსწორდებოდნენ სოფლებში დარჩენილ მოსახლეებს და ათეულობით ადამიანი დააპატიმრეს. „ჰიუმან რაიტს ვოტჩ“-ს გააჩნია ინფორმაცია სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველების გაუსამართლებლად მოკვლის შემთხვევის შესახებ, რომლებიც ძარცვის დროს მოხდა. იმ დროს, როდესაც სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალები რამდენიმე ქართულ სოფელში შედიოდნენ, რუსულ ჯარებს, უმეტეს შემთხვევაში, უკვე გავლილი ჰქონდათ ეს სოფლები. სხვა შემთხვევებში რუსეთის ჯარები, სამხრეთ ოსეთის ძალებს საფარით უზრუნველყოფდნენ, როდესაც ისინი დანაშაულებს ჩადიოდნენ.

11 აგვისტოსთვის თავდასხმები გაძლიერდა და მასობრივი ხასიათი მიიღო. მაროდიორობა და სოფლების უმეტესობის გადაწვა ქაოტურად გრძელდებოდა სექტემბერშიც, ზოგ სოფელში კი ოქტომბერსა და ნოემბერშიც. ოსურმა სამხედრო ძალებმა, სულ ცოტა, 159 ეთნიკური ქართველი ტყვედ აიყვანეს (ზოგი მათგანი საქართველოს არასადავო ტერიტორიიდან გაიტაცესძ, რომელთაგან მინიმუმ ერთი მოკლეს, თითქმის ყველა დანარჩენს კი სასტიკად ეპყრობოდნენ და ღირსების შემლახველ პირობებში ამყოფებდნენ. ასევე სულ მცირე ოთხი ქართველი სამხედრო ტყვე აწამეს და სამი დახვრიტეს. „ჰიუმან რაიტს ვოტჩ“-ის მიერ ადგილზე ნანახმა, ასევე ათობით ადამიანთან გასაუბრებამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების მიზანი იყო, ეთნიკურად გაეწმინდათ აღნიშნული ქართული სოფლები: ანუ ქართულ სოფლებში სახლების განადგურება ხორციელდებოდა მიზანმიმართულად, სისტემატურ ხასიათს ატარებდა, სოფლების მოსახლეობის ეთნიკური და სავარაუდო პოლიტიკური კუთვნილების ნიშნის მიხედვით ხორციელდებოდა, რისი აშკარა მიზანიც იყო, აეძულებინა დარჩენილი მოსახლეობა, გაქცეულიყო და ველარასოდეს დაბრუნებოდა საკუთარ სახლებს.

საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის დაწყებიდან სექტემბრის ბოლომდე სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები, ხშირად რუსული ჯარების თანდასწრებით, ატარებდნენ მიზანმიმართული ძალადობის კამპანიას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, მასობრივად წვავდნენ და ძარცვავდნენ მათ სახლებს, კლავდნენ, აუპატიურებდნენ, იტაცებდნენ და ხშირად სცემდნენ მოქალაქეებს.

## კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები

**ორივე ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალებმა და უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა უხეშად დაარღვიეს ჰუმანიტარული სამართლის მრავალი ნორმა.** მკვლელობა, გაუპატიურება, წამება, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სახლებისა და ქონების თვითნებური განადგურება – ყველაფერი ეს მკაცრად იკრძალება როგორც ჰუმანიტარული სამართლით, ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამართლის უხეშ დარღვევას და ასეთი ქმედებების ჩამდენთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ. ვინაიდან ნებისმიერი ზემოაღნიშნული აკრძალული ქმედება ჩადენილი იყო სამოქალაქო მოსახლეობაზე მასობრივი და სისტემატური თავდასხმების სახით, ეს ქმედებები შეიძლება განიხილებოდეს როგორც დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი ასეთი ქმედება, აგრეთვე სხვა ქმედებები, როგორებიცაა დაპატიმრება, მშვიდობიანი მოქალაქეების უკანონო დაკავება, ძარცვა და სახლებისა და ქონების სრული განადგურება, ჩადენილი იქნა გარკვეული ჯგუფის მიერ ბევრ შემთხვევაში ეთნიკური ქართველების დისკრიმინაციის მიზნით, ეს ქმედებები წარმოადგენს დევნის დანაშაულს, რაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით მისი ქვემდებარეა.

## კასეტური იარაღის გამოყენება

**კონფლიქტის დროს როგორც საქართველომ, ასევე რუსეთმა გამოიყენეს კასეტური იარაღი, რაც ისეთი საბრძოლო მასალაა, რომელიც უშვებს ათობით ასაფეთქებელ ნაწილაკს და საკმაოდ ვრცელ სივრცეზე ფანტავს.** ვინაიდან კასეტური საბრძოლო მასალა კონკრეტულ მებრძოლებს ვერ დაემიზნება, მისი დასახლებულ ადგილებში გამოყენების შემთხვევაში სამოქალაქო მსხვერპლი პრაქტიკულად გარანტირებულია. ამიტომ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება დასახლებულ ადგილებში მიჩნეული უნდა იქნეს არადამიზნებადი ხასიათის შეტევად, რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაა. კასეტური შეიარაღება საფრთხეს უქმნის მოქალაქეებს კონფლიქტის დასრულების შემდეგაც; ვინაიდან იერიშის მიტანისას ბევრი ასაფეთქებელი ნაწილაკი იმთავითვე არ ფეთქდება, კასეტური იარაღის გამოყენების შედეგად ხშირად მრავლად რჩება საშიში აუფეთქებელი ბომბი, რომლებიც შეხებისას ადვილად მოდის მოქმედებაში. იარაღის გაუმართაობის ადაამიანური შეცდომის გამო, ქართული მხარის მიერ გასროლილი კასეტური საბრძოლო მასალა საქართველოს არასადავო ტერიტორიებზე მანამდე დაეცა, სანამ სადაო ტერიტორიებზე რუსული ჯარები შემოვიდოდა, რის შედეგადაც სულ მცირე ერთი სამოქალაქო პირი დაიღუპა და რამდენიმე მძიმედ დაიჭრა. ანგარიშში ასევე ასახულია საქართველოს არასადავო ტერიტორიაზე მდებარე სამ სოფელში აუფეთქებელი კასეტური ბომბების კონტაქტზე გააქტიურების შედეგად სამი ადამიანის დაღუპვისა და ექვსის დაჭრის შემთხვევები.

ქართულმა მხარემ აღიარა კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტი. რუსეთი არ აღიარებს კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტს. რუსი სამხედროების მიერ კასეტური საბრძოლო მასალის გამოყენება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით, გორისა და ქარელის რაიონების დასახლებულ პუნქტებში მოხდა. მასობრივი დარტყმების დროს სულ მცირე 12 მოქალაქე დაიღუპა და 46 დაიჭრა. ყველა ეს იერიში არადამიზნებად ხასიათს ატარებდა.

რედაქტორი –
**ბიძინა სავანელი,**
ადამიანის საერთაშორისო უფლებათა სამართლის ექსპერტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 26.

**ინფორმაცია**

## რუსები თურმე სასაზღვრო ზღუდეს არ ააშენებენ

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ე. წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე სპეციალური ზღუდის აშენების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ამის შესახებ უწყების ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.**

– სამხრეთ ოსეთის სუვერენული სახელმწიფოს კანონიერ ხელისუფლებას უფლება აქვს, მოსაზღვრე სახელმწიფოსთან საკუთარი საზღვარი ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შესაბამისად მოაწყოს, – აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება.

ამასთან, რუსეთი უახლოეს მომავალში ე.წ. სამხრეთ ოსეთთან საზღვრების ერთობლივ დაცვაზე შეთანხმების გაფორმებას გეგმავს.

რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაციით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარზე სპეციალური ზღუდის აშენება იგეგმება, რომელიც მცირე მოძრაობაზეც კი რეაგირებს და განგაშის სიგნალს რთავს.

## ოსები თამარაშენში აეროპორტს ააშენებენ

**სოფელ თამარაშენის მიდამოებში აეროპორტის გახსნა იგეგმება. ამის შესახებ „ოსინფორმი“ იუწყება.**

პროექტის ავტორების განცხადებით, აეროპორტი რამდენიმე ეტაპად აშენდება – პირველ ეტაპზე სატვირთო-სამგზავრო კომპლექსზე დაიწყება მუშაობა, მეორე ეტაპზე კი, ტერმინალს, პულტაჟს, სადგომებს, სასტუმროსა და ვაგზლის მოედანს ააშენებენ.



საფრენი ბილიკის სიგრძე 3600 მეტრი იქნება.

„ოსინფორმის“ ინფორმაციით, აეროპორტი სამგზავრო და სამხედრო თვითმფრინავების მიღებას შეძლებს.

## თუ ოსურს არ ისწავლიან, ახალგორიდან გაასახლებენ

**ახალგორის რაიონში ოფიციალურ ენად ოსური გამოცხადდა.** რაიონში ინგლისური ენის სწავლება აიკრძალა. სამაგიეროდ ოსურ ენას პირველი კლასიდან დღეში 5 საათი დაეთმობა, რუსული კი მეორე კლასიდან ისწავლება.

მას ვინც ოსურად წერა-კითხვას ვერ ისწავლის, ჯერ სკოლიდან გააძევებენ, მერე კი ახალგორიდან გაასახლებენ.

სეპარატისტებმა ოსური ენის იძულებით სწავლასთან ერთად სასწავლო პროგრამიდან საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ამოღებაც გადაწყვიტეს.

გეოგრაფიისა და ისტორიის ახალ სახელმძღვანელოებს სკოლებში სექტემბერში შეიტანენ.

რაიონის დე ფაქტო გამგებელი ანატოლი მარგიევი პედაგოგებს ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში იმ პარაგრაფებს უნიშნავს, რომელთა სწავლებაც რეკომენდირებული არ არის.

სეპარატისტები დაუმორჩილებელ პედაგოგებს რეგიონიდან გაძევებით ემუქრებიან. პროტესტის ნიშნად ახალგორის რაიონი რამდენიმე პედაგოგმა უკვე დატოვა.

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# ობამა ხელს შეუწყობს სამეცნიერო განათლებას! ჩვენი განათლების სიმბოლო კი თუთბერიძეა?!



***ამერიკელი მიმომხილველების აზრით, აშშ თანამედროვე ისტორიაში მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო მეცნიერული აღმოჩენების მიხედვით, მაგრამ 2000 წლიდან ქვეყანაში დაიწყო პროცესი, რომელსაც შეიძლება მეცნიერებაში რეცესია ვუწოდოთ. 5 წლის მანძილზე მეცნიერების დაფინანსება განუწყვეტლივ მცირდებოდა, რასაც მეცნიერული აზრის სტაგნაცია მოჰყვა და ამერიკელ მეცნიერთა შორის უიმედობა გამოიწვია. ბუშის ადმინისტრაციაში მეცნიერთა აზრს ყურადღებას არ აქცევდნენ და ის მაშინ ახსენდებოდათ, როდესაც ხანგრძლივი პოლიტიკური მანიპულაციები სჭირდებოდათ.***

ობამა დაპირდა, რომ 150 მილიარდ დოლარს მიმართავს ეკონომიკის განვითარებისთვის, რომელიც გარემოს არ აბინძურებს. გააუმჯობესებს სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას, გააორმაგებს ფედერალურ ფინანსირებას კვლევით სამუშაოებზე ფიზიკაში და გამოყენებით მეცნიერებებში, აღადგენს აშშ-ს ლიდერობას კოსმოსში.

ობამა: **„ამჟამად დროა, როდესაც ჩვენ მეცნიერებას ჩვენი დღის წესრიგის უმაღლეს სტრიქონზე კვლავ ვაყენებთ და ვმუშაობთ ამერიკის, როგორც მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში მსოფლიო ლიდერის მდგომარეობის აღდგენაზე. მჯერა, რომ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით კვლევებს, თუ ხელს შევუწყობთ სამეცნიერო განათლებას, რათა შეიქმნას მკვლევართა და ინჟინერთა ახალი თაობა სწორედ ამერიკაში. ჩვენ გარდავქმნით სკოლებს, კოლეჯებს და უნივერსიტეტებს, რათა ისინი ახალ ეპოქას შეესაბამებოდნენ.“**

ჩვენი სკოლები და უნივერსიტეტები რომელ წარსულ ეპოქას შეესაბამება?

უნივერსიტეტი ერთი გვქონდა და ისიც მოვკალით. საშუალო სკოლები მოვსპეთ და მის ნაცვლად „საჯარო სკოლები“ შევქმენით, რომელიც, სწორედ ამერიკელების კარნახით, ამერიკული „პაბლიკ სკულების“ ანალოგიაა. **ეს „უფასო“ სკოლები კი ამერიკაში გონებასუსტი ბავშვებისთვისაა შექმნილი და მათი სასწავლო პროგრამებიც შესაბამისი ხარისხისაა.**

აშშ-ს მრავალ სკოლაში სიმწიფის ატესტატის მისაღებად დრო, რომელიც იხარჯება კულინარიისა და ავტომობილის მართვის დაუფლებაში, იმდენივეა, რაც გამოყოფილია მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ინგლისური ენის შესასწავლად.

თუმცა, ამერიკაში მრავლადაა ფასიანი „საშუალო“ სკოლა გაცილებით რთული სასწავლო პროგრამებით. საშუალო სკოლა სამი ტიპისაა: „აკადემიური“, „პროფესიონალური“ და „მრავალპროფილური“.

მრავალპროფილურ სკოლაში, მეცხრე კლასიდან დაწყებული, სხვადასხვა განყოფილებაა (პროფილიძ. მათ შორის უფრო გავრცელებულია: „აკადემიური“, „საერთო“, „კომერციული“, „ინდუსტრიული“ და „სასოფლო-სამეურნეო“. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ „აკადემიური“ პროფილი აძლევს მოსწავლეს საკმარის განათლებას უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

როგორც ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, სკოლის ატესტატი არც თუ ყოველთვის ზუსტად ასახავს კურსდამთავრებულის უნარს და წარმატებებს სწავლაში. თუმცა, შედარებით ნიჭიერი მოსწავლეებისთვის იქმნება სპეციალური კურსები, რომლებიც შინაარსით საუნივერსიტეტო კურსებთან ახლოსაა. ზოგჯერ მათთვის ცალკე მასწავლებელს გამოყოფენ. ამდენად, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ამერიკელ მოსწავლეებს ფაქტობრივად სრულიად განსხვავებული ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება აქვთ.

ვერ გეტყვით, რომ ამერიკის სკოლებში კარგი მდგომარეობაა, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდება, მოსისხლე მტერსაც არ ვუსურვებ.

ჩვენი სკოლების მიერ „მომზადებული“ ბავშვების უმრავლესობა „რეპეტიტორთა სკოლის“ გავლის შემდეგაც კი ადრინდელი „შვიდწლიანი განათლების“ დონეზეა. ამ განათლების სიმბოლოდ კი „კავკასიის“ ეთერით გადაცემულ „ბარიერში“ **თუთბერიძე** მოგვევლინა.

ძნელია კომენტარის გაკეთება იმაზე, რაც ვიხილე და მოვისმინე. ეს საშინელება იყო, მაგრამ გამაოცა ქალბატონ თუთბერიძის მსჯელობამ. მის შესახებ კომენტარები მრავლად იყო სმს-ებით ეკრანზე, მაგრამ გამაოცა სწორედ იმან, თუ როგორ ემთხვევა ამ ქალბატონის აზრები მის გარეგნობას! მას გვერდს დაახლოებით ასეთივე დონის ქალბატონი უმშვენებდა (მგონი განათლების სამინისტროდანძ დაახლოებით ანალოგიური აზროვნებით.

**ჩვენთან სწორედ ის განათლების სისტემა შეიქნა, რომელმაც ბავშვებს მაღალი დონის განათლების მიღება აუკრძალა.** დონე კი ისეთია, რომ თუთბერიძეების მსგავსებმა დიპლომებიც კი მიიღეს და ეტყობა „პროფესორებიც“ გახდებიან იმ უბადრუკ სასწავლებლებში, რომლებსაც „უნივერსიტეტობა“ დააბრალეს. გონებასუსტი ბავშვებისთვის დაწერილი ფერად-ფერადი სურათებით აჭრელებული და შეცდომებით გაჯერებული სახელმძღვანელოები და ბავშვები, რომელთა უდიდესი ნაწილი ბანკირობასა და პოლიციელობაზე ოცნებობს. ასეთია დღეს ჩვენი განათლების სისტემის სურათი. სურათი, რომელიც საქართველოს სრულ განადგურებას უქადის...

**განათლების დონის მიხედვით ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ მომსახურების სფეროსთვის არიან განწირულნი.** სწორედ ასეთი „განათლების დონის“ სტუდენტები ვიხილე ფიზიკის ფაკულტეტის პირველკურსელებს შორის და ამიტომაც უარი ვთქვი ლექციებზე უნივერსიტეტში და ცხადია, არც „პროფესოროზის“ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა. რასაკვირველია, „პროფესორის სტიპენდიაზეც“ უარი ვთქვი.

ორი წლის წინათ რექტორმა ხუბუამ აკადემიკოს თენგიზ სანაძეს და მე შეხვედრა გვთხოვა. თურმე პრეზიდენტს „უზრძანებია“, 150 ინჟინერ-ფიზიკოსი გვჭირდებაო და ამ საქმეში დახმარება გვთხოვა, სათანადო დაფინანსებასაც კი დაგვპირდა. მე ვუთხარი, რომ 100 მილიონიც რომ ჩადოთ ამ საქმეში, ერთ ნორმალურ ფიზიკოსსაც კი ვერ მოამზადებთ, რადგან ახალგაზრდებისთვის არ არსებობს სწავლის მოტივაცია, რათა მეცნიერი გახდეს. როცა მოსწავლე ხედავს, თუ რა დღეშია მასწავლებელი, პროფესორი ან მეცნიერი, ვინ აირჩევს მეცნიერების დაუფლების რთულ გზას? ნიჭიერი ახალგაზრდები ქვეყნიდან გარბიან, ვინც რჩება, მათი დონე ადრინდელი შვიდკლასიანი განათლების დონეს არ აღემატება. მანამ, სანამ საშუალო სკოლა არ აღსდგება ადრინდელი დონის სასწავლო პროგრამებით, უნივერსიტეტები ზედმეტნი იქნებიან.

ამდენად, სრულიად უაზროა უნივერსიტეტის აღდგენაზე ოცნება. ის კარგა ხნით დაასამარეს, დაასამარეს არა მარტო მეცნიერთა დარბევით, არამედ საშუალო სკოლების განადგურებითაც.

**უნივერსიტეტისა და სკოლის აღდგენის ერთადერთი გზა მეცნიერთა პრესტიჟის აღდგენა და მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნაა. მეცნიერთა შრომის დაფასების გარეშე არც სკოლაში აღდგება სწავლის მოტივაცია და არც უმაღლეს სასწავლებლებში.**

როცა სტალინმა ომისგან დანგრეული ქვეყნის აღდგენა მოისურვა, ატომური კვლევების ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს კურჩატოვს 20 000 მანეთი ხელფასი დაუნიშნა, პროფესორების ხელფასი კი მინისტრის ხელფასებს აჭარბებდა. სწორედ ამან შექმნა სწავლის ისეთი მძლავრი მოტივაცია, რომ საკმაოდ სწრაფად შეიქმნა როგორც ატომური და წყალბადის ბომბები, ისე კოსმოსური ხომალდები და მძლავრი სარაკეტო დანადგარები. სწორედ ამან შექმნა ძლიერი მილიტარისტული რუსეთი.

**ობამამ სწორად განსაზღვრა, რომ ამერიკის სიძლიერე სწორედ მეცნიერების მძლავრ განვითარებაზეა დამოკიდებული და ბუშის შეცდომების გამოსწორება სურს. ჩვენთან კი მეცნიერებს ინსტიტუტის შენობებიდან აძევებენ და შენობებს უყიდიან. ის ხელფასი, რასაც მეცნიერი იღებს, მეეზოვის ხელფასზე ორჯერ ნაკლებია და მოსწავლეთა სწავლის რა მოტივაციაზეა საუბარი?**

ახლახან მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ სამეცნიერო გრანტების ერთობ დროში გაჭიმული კონკურსი დაასრულა. **სასიხარულო ერთია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს მეცნიერთა კერები და კონკურსზეც მრავალი საყურადღებო პროექტი იყო წარდგენილი. თუმცა, საუბედუროდ, მეცნიერების უაღრესად მწირი დაფინანსების გამო უამრავი პროექტი, რომელმაც უცხოელი ექსპერტებისგან კარგი შეფასება დაიმსახურა, დაუფინანსებელი დარჩა.** ის მწირი დაფინანსება, რომელიც მრავალ ახალგაზრდას მეცნიერებას არ ჩამოაცილებდა და მეცნიერებას სიცოცხლეს ოდნავ მაინც გაუხანგრძლივებდა, ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევი არ აღმოჩნდა. ხელისუფლება კი „ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის“, თუმცა ახალგაზრდებს სამეცნიერო ლაბორატორიებიდან ქუჩაში ყრის, რათა ინსტიტუტების შენობები გაყიდონ.

**და ეს არც უნდა გვიკვირდეს, რადგან ყოვლად გაუნათლებელ ხელისუფლებას არც განათლებული ხალხი სჭირდება და არც ნორმალური განათლების სისტემა.** თვით ამერიკელების ინფორმაციით, მათ ჩვენთან და კამბოჯაში ჩაატარეს განათლების „წარმატებული რეფორმა“, თანაც, საქართველო ერთადერთია ევროპის ქვეყნებს შორის, რომელსაც ეს „ბედნიერება“ წილად ხვდა. მართალია, ამ რეფორმების ჩამტარებელი ამერიკული ორგანიზაცია RTI ჩვენი ხელისუფლების მიერ განათლების სისტემის მწირ დაფინანსებას აღნიშნავს და წუხს კიდეც, მაგრამ ის ფაქტი, რომ განათლება მათმა რეკომენდაციებმა მთლიანად გაანადგურა, ჯერ ვერ დაუნახავთ.

ჩვენი ხალხი მაინც თუ ხედავს ამ განადგურებას?

**თუ ამერიკელებმა 150 მილიარდი დოლარის ინვესტირება გადაწყვიტეს მეცნიერებაში, ჩვენ რა უბედურება გვჭირს, რომ ორიოდე მილიონი ლარი ვერ გაგვიმეტებია ჩვენი მეცნიერებისა და განათლების გადასარჩენად?**

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადემია“**

საპროტესტო მოძრაობა

# არის თუ არა ხელისუფლების შეცვლა საზოგადოების მოთხოვნა, დღეს გამოჩნდება

**დეკლარაციაზე** ხელის მოწერა კარგია, მაგრამ მთავარია აქტიური ქმედება, — განაცხადეს გუშინ **„ქართულ აკადემიაში“** გამართულ ბრიფინგზე და **დღეს, 16 საათზე ჭადრაკის სასახლეში მიიწვიეს ყველა, ვისაც კი გული შესტკივა ქვეყნის ბედზე,** ვისთვისაც ცხადია, რომ დღევანდელი მდგომარეობის ერთადერთი „შემოქმედი“ საქართველოს ხელისუფლებაა მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.

რადიკალურად განწყობილი „ქართული აკადემიის“ წევრები მიიჩნევენ, რომ ახალი სერიოზული საპროტესტო მოძრაობის დაწყების თარიღი — 13 თებერვალი, სანდრო გირგვლიანის დაბადების დღე იქნება.

ჭადრაკის სასახლის დარბაზი 400-მდე ადამიანს დაიტევს, თუმცა იქ მისული საზოგადოებისთვის ხმის გამაძლიერებლები ეზოში დაიდგმება, რა თქმა უნდა, თუ ხელისუფლება შუქს არ გამორთავს, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებიათ.

ქვეყნის ხსნის გამოსავალი ხელისუფლების დაუყოვნებლივი შეცვლაა, ამიტომ უკვირთ იმ პოლიტიკოსების განცხადება, რომლებიც ამბობენ, რომ სააკაშვილის გადადგომა საზოგადოების მოთხოვნა არაა.

**არის თუ არა საზოგადოების დაკვეთა პოლიტიკური პროცესების რადიკალურად შეცვლა და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გაცილება, დღეს გამოჩნდება. ბუნებრივია, 300 ათასი კაცი ვერ გამოვა, მაგრამ მცირე ნაწილით დაიწყება და გაგრძელდება...**

„ქართული აკადემია“ მოუწოდებს ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, დროულად გამოეხმაურონ საზოგადოების დაკვეთას და ამ ეტაპზე მაინც დაიწყონ კოორდინირებული, აქტიური და თანმიმდევრული ბრძოლა სააკაშვილის უპირობო გადადგომის მოთხოვნით.

**ნია ფიფია**

ევროკავშირი

# ჰაიდი ტალიავინი: მისიას ომის დაწყების მიზეზებზე წინასწარ აკვიატებული აზრები არა აქვს

(მეორე გვერდიდან)

**– ინტერნეტგამოცემა „ახალი კავკასია“: რუსი ექსპერტები კიდევ ერთ რუსულ-ქართულ ომს არ გამორიცხავენ. თქვენ ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავთ?**

– **ჰაიდი ტალიავინი:** ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ის, რომ ევროკავშირმა პირველად შექმნა მისია, რომელმაც ომის მიზეზები და მიმდინარეობა უნდა შეისწავლოს, ნიშნავს, რომ ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობით არის დაინტერესებული. ომის დაწყების შესაძლებლობას სერიოზულად არ განვიხილავ, თუმცა არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი მისიის დასკვნა ხელს შეუწყობს კავკასიაში სტაბილურობის დამკვიდრებას.

– **უვე შრამი:** ევროკავშირს ჩვენი მისიის მსგავსი მისია არასოდეს არ შეუქმნია. კარგია, რომ პრეცედენტი შეიქმნა. გვექნება გამოცდილება, რომ ანალოგიურ შემთხვევაში თავიდან ავიცილოთ საომარი მოქმედებების დაწყების შესაძლებლობა. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ ამ მისიის შექმნა მოინდომა და ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო, რაც ნიშნავს, რომ ევროპამ გაიგო, რომ კავკასია ევროპული უსაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონია.

**– „ინტერპრესნიუსი“ – კობა ბენდელიანი: ვისი რეკომენდაციით ხვდებიან მისიაში ექსპერტები? ქართულ მხარეს ბევრ მათგანთან უკვე აქვს პრეტენზიები ანტიქართული პოზიციების გამო?**

– **უვე შრამი:** ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭომ მისიის ხელმძღვანელი სუბიექტურად შეარჩია. სწორედ მისიის ხელმძღვანელის პრეროგატივაა ექსპერტთა შერჩევა. თავიდანვე უარი ითქვა კონფლიქტის მონაწილე მხარეების სახელმწოფოებისგან როგორც ექსპერტების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლების მიწვევაზე.

**– „ინტერპრესნიუსი“ – კობა ბენდელიანი: ქალბატონო ჰაიდი, რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ექსპერტები და ხომ არ ყოფილა რუსული ან ქართული მხრიდან თქვენზე ზეწოლა ამა თუ იმ ექსპერტის მისიაში ჩართვის საკითხზე?**

– **ჰაიდი ტალიავინი:** რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა კომპეტენციის, ობიექტურობის კრიტერიუმით. რაც შეეხება ზეწოლას, გარწმუნებთ, რომ ექსპერტების მოწვევასთან დაკავშირებით არც ერთი მხრიდან ჩემზე ზეწოლა არ ყოფილა.

**– რადიო „თავისუფლება“ – კობა ლიკლიკაძე; ვითარებაში, როცა რუსეთი უარს აცხადებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების უკან გაწვევაზე, რა მექანიზმები აქვს ევროკავშირს, აიძულოს მოსკოვი, შეასრულოს ამ საკითხზე ევროსაბჭოს ასამბლეის გადაწყვეტილება?**

– **ჰაიდი ტალიავინი:** ჩვენ მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მისიის მიერ მომზადებული დასკვნა ომის დაწყების მიზეზებზე ობიექტური იყოს. მანდატით ჩვენ მეტი არაფერი გვევალება. რაც შეეხება თქვენ კითხვას, მე არ ვიცი, რა უნდა გააკეთონ ევროსაბჭოს ასამბლეამ და ევროკავშირმა, რომ რუსეთმა მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეასრულოს.

– **უვე შრამი:** ჩვენი მთავარი ამოცანაა, მისიის დასკნის შემფასებელი ხალხი დარწმუნდეს, რომ მისიის დასკვნა სამართლიანი, ობიექტური და პირუთვნელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**– „ინტერპრესნიუსი“ – კობა ბენდელიანი: გეგმავს თუ არა მისია საქართველოსა და რუსეთის პირველი პირების დაკითხვას? თუ კი, სად და როდის?**

– თუ ისინი მიგვიღებენ, ჩვენ უარს არ ვიტყვით. მუშაობა მხოლოდ ახლა დავიწყეთ. საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებთან შეხვედრის აუცილებლობა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება დადგეს, რაც ფაქტობრივ მასალას თავს მოვუყრით და ომის დაწყებისა და მიმდინარეობის მიზეზებზე სრული სურათი გვექნება.

**– „ინტერპრესნიუსი“ – კობა ბენდელიანი: პრესაში იყო ცნობა, რომ მისიის მუშაობა 250 მილიონი აშშ დოლარით ფინანსდება. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს დასახელებული ციფრი? და კიდევ, ვინ აფინანსებს მისიის საქმიანობას?**

– **ჰაიდი ტალიავინი:** ასეთი ინფორმაციის არსებობის შესახებ მეც შევიტყვე და ძალიან ბევრი ვიცინეთ მე და ბატონმა უვე შრამმა. მისიის საქმიანობისთვის ევროკავშირმა სულ 1, 5 მილიონი ევრო გამოყო. ეს თანხა, ძირითადად, ჟენევაში მისიის ოფისის ხარჯებს, ჩვენს მგზავრობასა და ექსპერტთა შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯება.

ვიცით, რომ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს და გვინდა, დასკვნაზე მუშაობა ივლისის ბოლოსთვის დავასრულოთ. როგორც უკვე გითხარით, დასკვნა ყველა დაინტერესებულ მხარეს გადაეცემა და მას ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭო გამოაქვეყნებს. ასე რომ, დასკვნა საჯარო იქნება.

**კობა ბენდელიანი**
**„ინტერპრესნიუსი“**

რუსული ოკუპაცია

**გიორგი (გოგა) ბასიშვილი ის კაცია, ვისაც მთელი დიდი ლიახვის ხეობა პატივს სცემდა. II მსოფლიო ომის მონაწილე მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ხეობის ვეტერანთა საბჭოს. მისი მეუღლე, ქალბატონი ლალი მინდიაშვილი პროფესიით მედდაა და მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა იქაური მოსახლეობის ჯანმრთელობას. მათ სამი ვაჟი გაზარდეს.**

**ბატონი გოგა, 84 წლის ხანმოთეული, მაგრამ მაინც გულადი ვაჟკაცი, შარშანდელი აგვისტოს რუსული ოკუპაციის დროს უკანასკნელი გამოვიდა ნაცარტუტად ქცეული ხეობიდან, სოფელ ქურთადან. გამოიარა ტყვეობა ცხინვალის საპყრობილეში, შიმშილი, უიმედობა... განადგურებული ადამიანი თბილისელმა ექიმებმა გადაარჩინეს. ამბობს, რომ რუსეთ-გერმანიის ომის დროსაც არ უნახავს ასეთი დაუნდობლობა. ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ერთ დროს ფაშიზმის წინააღმდეგ ერთად მებრძოლი რუსები, სომხები, ჩრდილოკავკასიელები ახლა საქართველოს წინააღმდეგ დაიძრებოდნენ...**

**ის ერთ-ერთი იმათგანია დაზარალებული მრავალი ათასიდან, ვინც სარჩელი შეიტანა სტრასბურგის სასამართლოში. იმედი აქვს, რომ სიმართლე დღის სინათლეზე მაინც გამოვა.**

**ფოტო კი, რომელსაც გთავაზობთ, 15 აგვისტოსაა გადაღებული, სადაც ბატონი გიორგი უილაჯოდ დგას თავისი ორსართულიანი, გადამწვარ-გადაბუგული სახლის წინ. მან დღემდე არ იცის, ვინ გადაუღო ეს ფოტო, ფაქტია, რომ ის ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მიაწოდა სანაკოევის ადმინისტრაციის მთავრობას.**

**ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ჯოჯოხეთგამოვლილი ქართველი კაცის ნაამბობი.**

1990 წელს დაიწყო კონფლიქტი ქართველებსა და ოს-აფხაზებს შორის. 19 წლის მანძილზე მთელი სამაჩაბლო ვიყავით საომარ მდგომარეობაში. და აი, დადგა 2008 წლის აგვისტო, რასაც ჯოჯოხეთი ვუწოდე. 8 აგვისტოს პირველი ნასროლი „გრადი“ მოხვდა სახლის გვერდზე მდგომ ვაშლის ხეს და იქვე დაბმულ ძროხას შეაყარა ნამსხვრევები, პირუტყვის საკვებს ცეცხლი წაეკიდა და მისი ჩაქრობა დავიწყე. ამ დროს ცხინვალის მხრიდან მოდიოდა სამხედრო პირი, გავაჩერე, ვკითხე, ვინ ხარ-მეთქი. მითხრა, ქართველებმა მესროლეს და თვითმფრინავი ჩამომიგდესო. ბომბი ჩამოაგდე-მეთქი? ვერ მოვასწარიო, რუსი ვარ, ოდესიდანო და წავიდა ჯავის მხარეს. ცეცხლის ჩაქრობა გავაგრძელე. ამ დროს ჯავის მხრიდან მოდიოდა რუსთა ქვეითი ბატალიონი, რომლებსაც ვაჩვენე ჩემი საბუთები, სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდობა. არაფერი უთქვამთ, გზა გააგრძელეს. ისევ ჩემს საქმეს ვაგრძელებდი. დაღლილობისა და უჭმელობისგან გასავათებული სახლში შევედი დასასვენებლად. ამ დროს გავიგონე ხმა: აქ არის! ორი კაცი შემოვიდა შიგნით. ერთი ფხიზელი იყო, მეორე – ნასვამი. ნასვამი ჩემს მოსაკლავად იწევდა, რისი უფლებაც ფხიზელმა არ მისცა. ღვინო მთხოვეს და მარანი გავუღე. შიგნით შევიდნენ და მე გამოვიქეცი. იქვე, ბაღის ბოლოში დავიმალე. მერე მეზობლის ეზოში გადაველი წყლის დასალევად. შემოვიდა სამი სომეხი ჯარისკაცი, ხელში პისტოლეტებით. საბუთები მთხოვეს. ვაჩვენე. არაფერი მითხრეს და ისინიც მარანში შევიდნენ. სახლისკენ გავიქეცი. ბაღი მორწყული იყო და მთლად ტალახში ამოვისვარე.

# ჯოჯოხეთგამოვლილი



გზისპირას ვცხოვრობ და სახლში გაჩერება შეუძლებელი იყო. ამიტომ მეზობლის კარ-მიდამოში ვიმალებოდი. ღამეს კი ბაღებში ვათევდი. საქონელი, როგორც სხვებმა, ისე მეც ავუშვი და საწყლები სროლის ხმაზე სულ ბღაოდნენ. ავაზაკები მათ ხოცავდნენ და მანქანებში ყრიდნენ. ცხინვალისკენ მიჰქონდათ. უბან-უბან მალვით დავდიოდი და ყველაფერს ვხედავდი. გზა დაფარული იყო ტანკებით და სამხედრო იარაღით დატვირთული მანქანებით.

ერთი დღე სალოცავის ეზოში, თხილის ბუჩქებში გავატარე. საღამოს მინდოდა სახლის ნახვა. ამ დროს კიდევ შემხვდნენ ორი სომეხი და ერთი რუსი ჯარისკაცი. საბუთების გასინჯვის შემდეგ არაფერი მითხრეს და გამიშვეს. დავინახე, ძარიანი მოტოციკლეტი ეზოს ახლოს მოეტანათ წასაღებად. მეორე დილიდან უფრო მასობრივად შემოვიდნენ და დაიწყეს პირუტყვისა და ღორების ხოცვა. თუ რამე სულიერი იყო, ყველაფერს იჭერდნენ და ყრიდნენ მანქანებში.

ამ სამდღიანი უბედურების შემდეგ, 11 აგვისტოს დაიწყო სახლების ერთიანად ძარცვა და გადაწვა. ჩემი სახლიდან ზემოთ, ფერდობზე ავედი და იქიდან დავუწყე ცქერა ამ უბედურებას. იქნებოდა შუადღის პირველი საათი, როცა ჩემი სახლის კარებთან ხუთი კაცი მოვიდა. ცოტა ხნის შემდეგ დიდი სატვირთო მანქანაც მოაყენეს და დაიწყეს დატვირთვა. 50 მეტრის მანძილზე მივუახლოვდი ჩემს სახლს. ერთი თვის წინათ ნაყიდი 8 ათასლარიანი ავეჯი გამოიტანეს. მანქანის ძარაზე შეაგდეს საღვთისმშობლოდ შეთქმული მოზვერი, გამოიყვანეს გზის პირზე დატვირთული მანქანა და სახლს ამის შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი ჩემს ცხოვრებაში.

ამ უბედურების ნახვის შემდეგ, როგორც იყო, გავათიე საშინელი ღამე. თორმეტ აგვისტოს ერთხელ კიდევ შემოვუარე ზემო უბანს. ვნახე პირუტყვის ასობით დაბერილი ლეში და ჯერ კიდევ ცოცხალი საქონლის საშინელი ბღავილი... დაღლილი და მშიერი მეზობლის საღორეში მივეგდე...

გათენდა 13 აგვისტო. ვფიქრობ, რა გავაკეთო. ბუჩქებიდან გავხედე გზას. იმდენი ტანკი და სამხედრო იარაღით დატვირთული ავტომანქანა იდგა, მეორე ნაპირი აღარ ჩანდა. ამ დროს მომავალმა ფეხოსანი ნაწილის ჯარისკაცებმა, სადაც ჩრდილოკავკასიელები – ჩეჩნები, ყაბარდოელები იყვნენ, დამიჭირეს და საბუთების გასინჯვის შემდეგ გამიშვეს. სიგარეტი და საჭმელი შემომთავაზეს, ერთი კონსერვი და პურის ნაჭერი მომცეს... დღის 12 საათი იქნებოდა, როცა სოფელ მონასტერში წასვლა გადავწყვიტე, სადაც ოსები და ქართველები ერთად ცხოვრობენ. იქ მე და ჩემს დას ორი ოსი ბავშვი გვყავდა მონათლული. თან წამომყვა ჩემი ერთგული ძაღლი. სოფელი 2-3 კმ-ით არის დაშორებული ქურთადან და არ გამჭირვებია აღმართზე ასვლა. ვინახულე ღვთისმშობლის ეკლესია, პირჯვარი დავიწერე და შევედი სოფელ მონასტერში, სადაც ყველაფერი ხელუხლებელი იყო. ხალხი კეთილად შემხვდა. ერთმა მცხოვრებმა ტალახიანი ხალათი გამხადა და თავისი ჩამაცვა. ამ პერანგს დღემდე სიყვარულით ვინახავ...

ორი დღე იქ ვიყავი. პატივს მცემდნენ. 15 აგვისტოს ისევ სიბნელეში წამოვედი და ჩამოვაღწიე ქურთამდე. კიდევ დავათვალიერე ჩემი გაუბედურებული, გაძარცვული და დამწვარი კარ-მიდამო, ცხინვალისკენ ფარული გზით წასვლა გადავწყვიტე, რათა მენახა რუსი სამხედროები. იქნება თავიანთი მანქანით გავეგზავნე გორამდე, მაგრამ იქამდე ჩასვლა არ მეწერა – დამინახა ოსურმა მილიციამ, ჩამსვეს მანქანაში და ჩამიყვანეს ცხინვალის საოლქო მილიციის საპატიმროში, სადაც კიდევ ერთხელ ვიხილე საშინელი ჯოჯოხეთი: ვიყავით 120-ზე მეტი პატიმარი – ქალი და კაცი, ახალგაზრდები და მოხუცები. ამ საშინელ სამყოფელში იყვნენ ადგილობრივი – ქალაქის პატიმრებიც: 6 ოსი და ორი რუსი. იმათ ჰქონდათ დაწოლის საშუალება, ლეიბები და სხვა. კვებაც საუკეთესო, ჩვენი საკვები კი იყო „გრეჩიხის“ სუპი – ერთი ჩამჩა, ერთი ჭიქა ჩაი, დღეში 2-ჯერ.

თუ ვინმე შეუძლოდ გახდებოდა, რუსეთიდან ჩამოსული ექიმები გვსინჯავდნენ და საჭიროების შემთხვევაში, წამლებსაც გვაძლევდნენ. ჩვენი სამყოფელი დაუხურავი იყო და ჩვენს იღბლად, წვიმა არ მოვიდა, თორემ ყველა რომ კარცერში შევყუჟულიყავით, იმ პაპანაქებაში, ნახევარი უჰაერობით დავიხოცებოდით. დღისით ცოტა შეღავათი გვქონდა, როცა ახალგაზრდები სამუშაოდ გაჰყავდათ, ცოტა თავისუფლად ვგრძნობდით თავს, ძირს ბეტონზე დაჯდომა გველირსებოდა ხოლმე.

ახალგაზრდებს ამუშავებდნენ – ქუჩებს ასუფთავებინებდნენ, დახოცილებს აგროვებინებდნენ და დახოცილ პირუტყვს ამარხვინებდნენ. 21 აგვისტოს ცხინვალის ავტობუსით ჩამოგვიყვანეს ქ. გორში. მერე ჩაგვიყვანეს თბილისში. აქ ყველა დაგვკითხეს და დაგვანაწილეს ბინებში. საქართველოს მთავრობას არ ვემდურით. მოგვცეს ახალი კოტეჯები, ჯერჯერობით, არც საკვებით ვართ უკმაყოფილო...

**ჩვენ რომ ვაპატიოთ, ამ საქმის ჩამდენთ ღმერთი არ აპატიებს. ყველა ქართველის სახლში ხატების კუთხე იყო. სახლებთან ერთად ის ხატები და ჯვრებიც დაიწვა. ამას მათ უფალი არ აპატიებს, – სჯერა მოხუცს...**

ესაუბრა
**ლია ჭიღლაძე**

განსჯა

# როგორ გავიგოთ, ვინ რა არის?

როგორც წინა წერილში ვწერდი, დავუშვათ და მივაღწიეთ პრეზიდენტის და პარლამენტის ვადამდელი არჩევნების დანიშვნას, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლაც მოვახერხეთ და არჩევნების გაუყალბებლად ჩატარებაც, მაგრამ როგორ გავარკვეთ, თუ ვინ არის არჩევის ღირსი, ანუ ვინ იფიქრებს უპირველესად საკუთარ ხალხსა და სამშობლოზე, და მხოლოდ შემდეგ – ამერიკა-რუსეთის სიამოვნებაზე? ტელევიზია-პრესით სხვადასხვანაირად დამუშავებული და პრეზიდენტის დაპირებებით თავგზააბნეული კაცისთვის ეს არცთუ ადვილი გადასაწყვეტია.

იმ კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ ვინ ვინ არის სინამდვილეში (ასარჩევ კანდიდატთაგან), ამომრჩევლისთვის საუკეთესო ამოსავალი წერტილი ამ კატეგორიის ხალხის განვლილ ცხოვრებაზე საფუძვლიანი ობიექტური ინფორმაცია იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არათუ მათი მუშაობის, არამედ სწავლის პერიოდზეც იმდენად მშრალი და არაფრისმთქმელი, თან შელამაზებული ცნობები ვრცელდება ხოლმე, რომ უცხოეთში რამდენიმეთვიან კურსებზე ნამყოფი კაცი (რომელიც თბილისში ძლივს გადადიოდა კურსიდან კურსზე!) ლამის კემბრიჯ-ოქსფორდის კურსდამთავრებულებად მოგვაჩვენონ ჟურნალისტებმა – ზოგმა შეგნებულად და ზოგმაც შეუგნებლად – ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირის გამო. აღარაფერს ვამბობ იმ უხშირესად გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე, რომელიც მუშაობის პერიოდს – უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობას ან უცხოელთა მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა ჯურის ინსტიტუტ-ფონდებში „მოღვაწეობას“ შეეხება. რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცები მაინც ჟონავს თავისუფალ პრესაში, მაგრამ იგი ნამდვილად არასაკმარისია საქართველოს მოსახლეობის თვალების ასახელად, კარგად ასახელად.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა მასმედიის, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების და პარტიების (განსაკუთრებით, ვითომ ოპოზიციური) ჭეშმარიტი მფლობელ-დამფინანსებლების ვინაობის გაგებაც, მაგრამ ვინაიდან ამ ინფორმაციის შეგროვება ბევრ სირთულესთან (და რისკთანაც!) არის დაკავშირებული, ამიტომ შემოვდივარ წინადადებით, ყველა პოტენციურ საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო კანდიდატს (პირველ რიგში, პარტიის ლიდერებს და აქტივისტებს) დაურიგდეს სპეციალური კითხვარი, რომლებზეც პასუხებით შედარებით ადვილად გავერკვევით, თუ ვის რა პოზიცია უკავია ამჟამად და რა პოლიტიკას გაატარებს იგი არჩევის შემთხვევაში.

მხოლოდ ზოგადი ფრაზებით დახუნძლული პროგრამები, რომლებიც დაპირებებს წააგავს, ნამდვილად არ კმარა იმის დასადგენად, თუ „ვინ რა არის“. დაპირებებით საქართველოს პრეზიდენტი ხომ ლამის ღმერთი გვეგონა ხუთი წლის წინ (მაპატიოს მაღალმა ღმერთმა ეს შედარება). ხუთი წლის წინათ კი არადა, დღესაც 10-დან 30 %-მდე (ქალაქად და სოფლად, შესაბამისად) ამომრჩევლისა პირდაბჩენილი, დაუმუშავებლად ყლაპავს მის ყოველ სიტყვას და ჩვენი თავმოსაჭრელი დამარცხება მართლა გამარჯვებად მიაჩნია, ქვეყნის დაქუცმაცება კი – გამთლიანების წინაპირობად; სხვა „წარმატებებს“ ხომ იჯერებენ და იჯერებენ.

ამ კატეგორიის ხალხს არაფერი უშველის – ისინი არც არავის ლოგიკურ დასაბუთებას უგდებენ ყურს და არც არაფერს უსმენენ „რუსთავი-2“-ის გარდა; გაზეთებსაც შეგნებულად არ კითხულობენ – პრეზიდენტის და ხელისუფლების გინების მეტი იქ არაფერიაო. ამიტომ არც კრიტიკულ და არც მაკომპრომეტირებელ მასალას პრეზიდენტსა და მის გუნდზე ისინი არ იცნობენ.

ჩვენი მიზანია ქვემოთ წარმოდგენილი კითხვარით სწორი არჩევანის გაკეთებაში დავეხმაროთ საქართველოს მოსახლეობის იმ საკმაოდ დიდ ნაწილის, რომელიც ინფორმაციის დეფიციტის გამო გაურკვევლობაშია – ვერ გადაუწყვეტია, რომელ პოლიტიკურ გაერთიანებას (ან პერსონას) მისცეს ხმა, და საერთოდაც, მიიღოს თუ არა მონაწილეობა არჩევნებში.

კითხვებს რა გამოლევს, მაგრამ შევეცადე, ისეთი კითხვები შემერჩია, რომლებიც ადვილად გამოსაცნობს გახდის რესპონდენტის სახელმწიფოებრივ ხედვას საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, მის პოზიციას – ეროვნულია იგი თუ გლობალისტური, ანუ – არაეროვნული. ბუნებრივია, ეს კითხვარი არ შეიძლება უნაკლო იყოს და ყოვლისმომცველი, ამიტომ იმედი მაქვს, იგი დაიხვეწება და შეივსება კიდეც საქართველოზე მაფიქრალი ხალხის მოწადინებით.

კითხვები პირობითად „საშინაოდ“ და „საგარეოდ“ დავყავი, და ზოგიერთს დამატებითი ინფორმაცია დავურთე – დარწმუნებული ვარ დიდი უმეტესობა იმ კატეგორიიდან, ვინაც პასუხი უნდა გასცეს კითხვებს, ფლობს ამ ინფორმაციას, მაგრამ იგი მკითხველს (ამომრჩეველს) გაუადვილებს იმაში გარკვევას, თუ მისთვის რამდენად მისაღებ პასუხს იძლევა ესა თუ ის კანდიდატი.

**დავიწყოთ საშინაო თემებზე კითხვებით, რომლებსაც უნდა მივუწეროთ ჩვენი აზრით მისაღები მხოლოდ ორი სიტყვა – „ჰო“ ან – „არა“.**

**1.ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოძიებულ უნდა იქნას თუ არა:**

1) საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** დაღუპვა (მკვლელობა);

2) პრემიერ-მინისტრ **ზურაბ ჟვანიას** დაღუპვა (მკვლელობა);

3) სხვა გახმაურებული **მკვლელობები** და დანაშაულობები;

4) **ედუარდ შევარდნაძის** „მოღვაწეობის“ პერიოდი (ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩილეს პრეზიდენტი პინოჩეტი, მიუხედავად თავისი ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისა – (ჩილე ერთადერთი სახელმწიფო იყო მთელ ამერიკის კონტინენტზე, რომელიც პინოჩეტმა 17-წლიანი დიქტატურის შემდეგ საგარეო ვალის გარეშე(!) დატოვა) – იგი 87 წლის ასაკში მაინც გაასამართლეს იმ უკანონობისათვის, რაც მან ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ჩაიდინა);

5) **„ბაგრამიანის ბატალიონის“** მიერ აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულობები;

(ქართულ, გნებავთ სადავო, ეკლესიაში რემონტის ჩატარება და ერთი საფლავის ქვის დაზიანება მთელ მსოფლიოს მოსდეს სომხებმა საპროტესტო დემონსტრაციებით, და ჩვენ რატომ ვიგუბებთ პირში წყალს – სომხების მიერ დახოცილ-ნაწამები ქართველების თავებით ფეხბურთის თამაში წასაყრუებელია?)

**2. მიღებულ უნდა იქნას თუ არა ლუსტრაციის** (სხვადასხვა ქვეყნების აგენტების გამოსავლენი) **კანონი უმოკლეს ვადებში?**

**3. უნდა აიკრძალოს თუ არა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების ძალზედ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა** ( როგორებიცაა: თავდაცვის, საგარეო, უშიშროების, ეკონომიკის და გნებავთ, კულტურის მინისტრის პოსტები)?

**4. უნდა გადაისინჯოს თუ არა სააკაშვილ-ბენდუქიძის მიერ** საქართველოს მიწა-წყლის და სტრატეგიული ობიექტების გასხვისება-გაჩუქების ხელშეკრულებები?

**5. უნდა აიკრძალოს თუ არა უცხოეთიდან ისეთი ორგანიზაციების დაფინანსება , როგორებიცაა:**

1) რელიგიური სექტები (მაგ. „იეღოველთა მოწმეები“);

2) ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს საქართველოსთვის (მაგ. „თავისუფლების ინსტიტუტი“, „სოროსის ფონდი“ და მისთანანი)?

3) ტელევიზიები და ჟურნალ-გაზეთები(-მაგ. ჟურნალი „მე“);

4) ჩვენი მთავრობის მინისტრები;

**6. ერთხელ და სამუდამოდ** უნდა გახდეს თუ არა ცნობილი სატელევიზიო არხების, სტრატეგიული ობიექტების, ბანკების და ა.შ. ჭეშმარიტი **მფლობელის ვინაობა?**

**7. მხარს უჭერთ თუ არა ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის აღდგენას პასპორტში?**

**8. მომხრე ხართ თუ არა უფასო,** ანუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საშუალო და უმაღლესი განათლების აღდგენის?

**9. მხარს უჭერთ თუ არა** საპრეზიდენტოს ნაცვლად საპარლამენტო **მმართველობის შემოღებას?**

**10. საქართველოს თითქმის ყველა ბანკის უცხოელების ხელში** ყოფნა გვიშლის თუ არა ხელს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში?

**11. წინააღმდეგი ხართ თუ არა** მამათმავლებისთვის და ლესბოსელებისთვის იმ უფლებების მინიჭების, რაც მათ ევროპა-ამერიკაში გააჩნიათ (ქორწინებების, ბავშვის აღსაზრდელად აყვანის, გეი-პარადების, კლუბების, ურნალების და ა.შ. სახით)?

**12. უნდა აიკრძალოს თუ არა ყველა დონეზე ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ ხმარება?**

**13. უნდა მივმართოთ თუ არა ყველა სახელმწიფოს თხოვნით** (და სათანადო ახსნა-განმარტებით), რომ საქართველოს მიწებს და დასახლებულ ადგილებს ეწოდოს ისტორიულად, გეოგრაფიულად და იურიდიულად გამართლებული ის სახელები, რომლებიც საქართველოშია მიღებული (მაგ.: „შიდა ქართლი“ „სამხრეთ ოსეთის“ ნაცვლად, „სოხუმი“ „სუხუმ“-ის ნაცვლად, „ცხინვალი“ „ცხინვალ“-ის ნაცვლად, „ჯავახეთი“ „ჯავახკ“-ის ნაცვლად და ა. შ.)?

## ახლა, ასე ვთქვათ, „საგარეო“ კითხვები:

**1. წინააღმდეგი ხართ თუ არა აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ გარეშე ნატოში გაწევრების?**

**2. გმობთ თუ არა ამერიკის შეჭრას ერაყში** (ცნობისათვის – თავდასხმის მიზეზად ჯორჯ ბუში და მისი მთავრობა ასახელებდნენ ერაყში ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული იარაღის არსებობას, რაც ომის დასაწყისშივე გაირკვა და შემდგომში თავადაც აღიარეს, რომ იყო სრული სიცრუე. საბოლოოდ კი შეჩერდნენ ერთ არგუმენტზე – ერაყში დემოკრატიის დამყარებაზე. ამ „დემოკრატიის“ დამყარებამ უკვე შეიწირა მილიონ-ნახევარი ერაყელის სიცოცხლე, ოთხ მილიონამდე სამშობლოდან აიყარა, მილიონობით გაუბედურებული კი თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს მიწასთან გასწორებულ სამშობლოში – ვერც ქუჩაში, ვერც ბაზარში და ვერც მეჩეთში, სად, როდის, და ვინ(!) ააფეთქებს არავინ იცის. დემოკრატიისა კი ჩამიჩუმი არ ისმის)?

**3. გამოყვანილ უნდა იქნას თუ არა საქართველოს სამხედრო ნაწილი ერაყიდან და ავღანეთიდან** (ცნობისათვის – თუ ერაყში ამერიკის სამხედრო კონტინგენტი – 140 000 კაცი, ამერიკის მოსახლეობის დაახლ. 0.05%-ს შეადგენს, ჩვენი 2 400-კაციანი შენაერთი საქართველოს მოსახლეობის 0.06(!)%-ია, ანუ გამოდის, რომ ამერიკაზე მეტად, ჩვენ ვიქაჩლებთ თავს; დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს ხომ ჯერადობით ვუსწრებთ!)?

**4. გმობთ თუ არა ისრაელის პოლიტიკას პალესტინაში** (ცნობისთვის – ისრაელის ქმედებას ღაზაში გმობს მთელი მსოფლიო, ამერიკის გარდა; თურქეთის პრემიერ-მინისტრი ისრაელის გაეროდან გარიცხვას ითხოვს, ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი, „მშვიდობისმოყვარე“ ობამა კი არავითარ კომენტარს არ აკეთებს პალესტინელი ხალხის გენოციდზე სამი კვირის(!) განმავლობაში; ისრაელის ამ აგრესიის შედეგად ღაზის ზოლში დაიღუპა 1 300 პალესტინელი (აქედან 411 ბავშვი!) და დაიჭრა 5 400. ისრაელის მხრიდან დაიღუპა 13 და დაიჭრა 182)?

**5. სასაკლაო ჰქვია თუ არა,** როდესაც ერთი მხარე (ისრაელი), შეიარაღებული უახლესი ტექნიკით – გემებით, ტანკებით, ავიაციით და რაკეტებით, იყენებს რა აკრძალულ იარაღთან (ფოსფორის ჭურვებთან) ერთად სულ ახალ, ვოლფრამის ფხვნილით და ათასობით 10-სანტიმეტრიანი ისრებით გავსებულ ჭურვებს, უმოწყალოდ ბომბავს ღაზის ზოლში (ის მართლაც ზოლია – 40კმX9კმ-ზე) მცხოვრებ 1.5 მილიონ ადამიანს, რომლებიც ორ წელზე მეტია სრულ ბლოკადაში ჰყავს მოქცეული, და რომელი მოსახლეობაც შეიარაღებულია მხოლოდ და მხოლოდ ქვებით, „კალაშნიკოვით“ და გადაჭრილი ლითონის მილებისგან კუსტარული წესით დამზადებული ისეთი „რაკეტებით“, რომლებსაც რამდენიმე წლის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე ებრაელი ემსხვერპლა?

**6. მხარს უჭერთ თუ არა ახლო აღმოსავლეთის უბირთვო ზონად გამოცხადებას** (ცნობისათვის – ამ რეგიონში მხოლოდ ისრაელს აქვს ატომური იარაღი)?

**ეჭვი არ მეპარება, რომ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს თვალთმაქცობაც იქნება და ტყუილებიც (ხელისუფლების სავარძლებისკენ მოსწრაფ ადამიანებში პატიოსნებასთან მწყრალად მყოფებს რა გამოლევს!), მაგრამ მაინც ვფიქრობ, ამ კითხვებზე პასუხი საკმარისად გამოაჩენს, თუ ვინ რამდენად ეროვნული სულის მატარებელია და ქართველი ხალხის მომავალზე მაფიქრალი. ამავე დროს, ხელთ გვექნება რა მომავალი პრეზიდენტ-დეპუტატების ეს წერილობითი პასუხები, მათი გაკონტროლებაც შედარებით ადვილი გახდება, მაგრამ იმისათვის, რომ კონტროლთან ერთად სამართალმა პური სჭამოს, აუცილებელი იქნება საარჩევნო კანონში პატარა შესწორების შეტანა – არჩევანში შემცდარ (თუ მოტყუებულ) ამომრჩეველს ადვილად უნდა შეეძლოს არაკეთილსინდისიერი დეპუტატის (მაჟორიტარის) გამოწვევა და ახლით შეცვლა.**

იაკობ ლეჟავა





**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოს დესუვერენიზაცია

**სუვერენიტეტი – ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აუცილებელი იურიდიული თვისებაა, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მის პოლიტიკურ-სამართლებრივ თავისთავადობას, უმაღლეს პასუხისმგებლობასა და ღირებულებას.**

ომი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ წარმატებულად, როცა მიღწეულია ამ ომის სწორი სამხედრო-პოლიტიკური მიზნები. ყველა სხვა შემთხვევაში – ეს ომი წაგებულია, მიუხედავად სამხედრო წარმატებებისა.

რუსეთ-საქართველოს ომი არა უბრალოდ ადასტურებს ამ თეზისს, არამედ კლასიკური მაგალითია ომის სამხედრო და პოლიტიკური ინტერესების, მიზნებისა და შედეგების ბალანსის სახელმძღვანელოებისთვის.

საქართველოს ბოლო კამპანიისთვის, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს მხოლოდ პირველი კამპანიაა და გაგრძელება იქნება – ასეთი სამხედრო-პოლიტიკური მიზნების სისტემის სწორად დაყენების საკითხი კრიტიკულად აქტუალურია რუსეთის მთელი საკავკასიო პოლიტიკისთვის.

ხშირად გაიგონებთ, რომ ამ ომის სწორი მიზანი იყო სააკაშვილის რეჟიმის დამხობა. არც მთლად ასეა. ეს საჭირო პირობაა, მაგრამ სულაც არა საკმარისი. მინდა შეგახსენოთ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ და, უნდა ითქვას, რუსეთის მონაწილეობით, საქართველოში დაამხეს გამსახურდიას ანტირუსული რეჟიმი, მაგრამ ამით ჩვენი სამხრეთელი მეზობელი არ გამხდარა რამდენადმე მაინც პრორუსული და უსაფრთხო კავკასიაში რუსეთის მიზნებისთვის.

მარტო ამის გამო უნდა დავფიქრებულიყავით, თუ რამდენად სწორი იყო საკითხის ასე დაყენება. გახდება თუ არა თავისთავად დამოუკიდებელი სუვერენული საქართველოს ახალი მთავრობა – თუნდაც მოსკოვის მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოყვანილი – მეგობრული რუსეთის მიმართ? ყველაფერი, ობიექტური და სუბიექტური გარემოებანი, გარეშე და შინაგანი ფაქტორები ღაღადებენ, რომ ასეთი მთავრობა გარდაუვალად იდრეიფებს სააკაშვილიზაციისკენ, ევროატლანტიკური ინტერესებისკენ, რუსეთთან ახალი კონფლიქტისკენ.

ამიტომ თავისთავად სააკაშვილის რეჟიმის დამხობა უბრალოდ ნაწილია ძირითადი ამოცანისა, რომლის მიზანია საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, სრული დესუვერენიზაცია.

დღეს საკმარისი არ არის ჩვენს პარტნიორებთან – მათ შორის თვით საქართველოშიც – ვიხილავდეთ მხოლოდ „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა" და „სააკაშვილის რეჟიმის ბედის" პრობლემას. დღეს საგარეო-პოლიტიკური დისკუსიისთვის თემა უნდა იყოს საქართველოს სუვერენული არსებობის უფლებათა დაკარგვის პრობლემატიკა. მხოლოდ ამ კონტექსტით – მომენტის შესაბამისი ძალოვანი კომპონენტის გამოყენებით – რუსეთი შეძლებს გახსნას ქართული კვანძი, რომელიც მას მოჭერილი აქვს ფეხებზე ისტორიულ გარემოებათა გამო.

თუ ეს ამოცანა არ გადაწყვიტა, რუსეთი მუდამ წააწყდება გადაუჭრელ პრობლემებს კავკასიაში, მუდამ იქნება ომის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბლოკის მონაწილეობით ომის, აგრეთვე უკრაინასთან ომის ზღვარზე, რომელსაც გარდაუვალად გააჩაღებენ ასეთ გარემოებებში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: საქმე არ ეხება რაღაც „შურისძიებას" საქართველოს მიმართ ან „რუსეთის იმპერიალიზმის აღორძინებას". საკითხი მეტად უბრალოდ დგას: თუ არ გადავწყვიტეთ პოტენციური აგრესორის დესუვერენიზაციის ისტორიული ამოცანა, რუსეთი მუდმივად, ათწლეულების განმავლობაში იძულებული იქნება, ზიდოს ეს ტვირთი და სისხლიანი ხარკი მიიტანოს ომის ტაძართან – რა თქმა



უნდა, ქართველებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად.

ახლა ტექნიკის შესახებ. ამ ამოცანის გადაწყვეტის მეთოდი სამია:

„ერაყის ვარიანტი" – საქართველოს სრული სამხედრო ოკუპაცია, იქ საოკუპაციო რეჟიმის დამყარება და რუსეთის კონტროლს დაქვემდებარებული და მისდამი მეგობრულად განწყობილი მთავრობის დამკვიდრება;

**ვბეჭდავთ უკომენტაროდ. მტერს უნდა ვიცნობდეთ!**

„იუგოსლავიის ვარიანტი" – საქართველოს დაშლა თავდაპირველად აღიარებული საერთაშორისო სტატუსის არმქონე ანკლავებად, რომლებსაც კონტროლს გაუწევენ რუსი სამშვიდობოები;

„სომალის ვარიანტი" – მართული ანარქიის მხარდაჭერა და ყველას ომი ყველას წინააღმდეგ.

ყოველი ვარიანტის დროს სავალდებულო სიუჟეტია თბილისის მოქმედ ხელისუფალთა გადაყენება და მათი შეცვლა ადგილობრივი საქალაქო თვითმმართველობის დონის ფიგურებით და თბილისიდან კონტროლირებადი ტერიტორიების მინიმიზაცია ქალაქისა და ოლქის დონემდე. დაუშვებელია საერთო- ეროვნული არჩევნები, თუნდაც შეკვეცილი მასშტაბისა; ყველა საერთო ეროვნული ფიგურა, რომლებსაც აქვთ ლეგიტიმურობის ნარჩენები, უნდა გამოვიყვანოთ თამაშიდან ნებაყოფლობით ან იარაღის ძალით. აუცილებელია აგრეთვე ქვეყნის ცენტრისგან ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მოკვეთა და იქ რუსეთის სამხედრო კონტინგენტისა და ფლოტის განლაგება მუდმივ საფუძველზე.

დესუვერენიზაციის ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გზა, რა თქმა უნდა, საქართველოს სრული სამხედრო ოკუპაციაა, მაგრამ ეს გულისხმობს დასავლეთთან შეტაკებათა ყველაზე მწვავე ფორმებს, ამასთან ომში მესამე ქვეყნების მონაწილეობას და უკრაინის წაქეზებას რუსეთთან საომრად, რაც თავისთავად, ისტორიულად თითქმის გარდაუვალია, მაგრამ ჩვენ, ცხადია, თავიდან უნდა ავიცილოთ ომი ორ ფრონტზე.

დამოუკიდებელი სამხრეთი ოსეთი მოხერხებული მოედანია საიმისოდ, რომ სასამართლოს მეშვეობით (ან უიმისოდაც) ანგარიში გაუსწორონ საქართველოში მმართველი რეჟიმის ყველაზე ოდიოზურ წევრებს და, უწინარეს ყოვლისა, თვით სააკაშვილს, რომელიც უნდა გაასამართლოს არა საერთაშორისო, არამედ ქალაქ ცხინვალის ჩვეულებრივმა საქალაქო სასამართლომ ქალაქის მცხოვრებთაგან შერჩეული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით და ჩამოკიდონ მთავარ მოედანზე მოზეიმე ხალხის თანდასწრებით.

ეს იქნება ერთობ გამომაფხიზლებელი სანახაობა იმათთვის, ვინც თანამშრომლობს რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის პერიმეტრზე, და განსაკუთრებით – პან იუშჩენკოსა და ბალტიისპირელი ლიდერებისთვის. რა თქმა უნდა, ვერავითარი საერთაშორისო სასამართლო ვერ გადაწყვეტს ამ პრობლემას.

რეგიონში რუსეთის უმნიშვნელოვანესი პოზიტიური ამოცანა და მსოფლიოში მისი ახალი მისია უნდა გახდეს პოსტსაბჭოთა სივრცეში მმართველი რეჟიმების სახელმწიფო ლეგიტიმურობის ახალი კრიტერიუმების დადგენა. ნატოელთა ხროვის იარლიყით ლეგიტიმიზაციის წინანდელი პრინციპის ნაცვლად ცეცხლითა და მახვილით უნდა დავნერგოთ მონროს დოქტრინის რუსულ ვერსიაზე დამყარებული ლეგიტიმურობის პრინციპი:

პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ის რეჟიმია ლეგიტიმური, რომელიც მეგობრულად ეკიდება რუსეთს, სხვები დასაწუნი და შესაცვლელია. სწორედ ეს არის რეგიონში მშვიდობისა და აყვავების ერთადერთი შესაძლებელი გზა.

რუსეთისგან ქართველი ერისადმი საუკეთესო ჰუმანიტარული დახმარება იქნება მათი „მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის" დანგრევა, რომელიც დღეს იმის საფუძველი გახდა, რომ ქართველები გადააქციონ საზარბაზნე ხორცად შავიზღვისპირეთის რეგიონში ევროატლანტიკურ ინტერესთა დასაცავად.

და მაშინ – ამ სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის შემდეგ – დადგება ერთაშორისი მშვიდობის, სიყვარულისა და სიამტკბილობის დრო. დრო მწვადის შეწვისა და ლობიოს ჭამისა.

ჯერჯერობით კი ომია.

**ბორის ბორისოვი**

АПН



**ციმბირის თავზე ერთმანეთს შეეჯახა რუსეთისა და ამერიკის კავშირგაბმულობის თანამგზავრები**

ნასას ცნობის თანახმად, სატელეკომუნიკაციო თანამგზავრების შეჯახება მოხდა 800 კილომეტრის სიმაღლეზე. საკითხი შეეხება რუსეთის თანამგზავრს, რომელიც გაშვებულია 1993 წელს და ითვლებოდა არაფუნქციონირებულად, და ამერიკულს, რომელიც ორბიტაზე გაიყვანეს 1997 წელს. შედეგად წარმოიქმნა ნამსხვრევების ორი დიდი „ღრუბელი".

* * *

**საუკუნის შუა პერიოდისთვის დედამიწის მოსახლეობა 9 მილიარდ ადამიანამდე გაიზრდება, რუსეთში კი შემცირდება 33 მილიონით**

გაერომ გამოაქვეყნა გლობალური დემოგრაფიული პროგნოზი. პლანეტის მცხოვრებლები საგრძნობლად დაბერდებიან: სხვადასხვა ქვეყანაში ყოველ 100 შრომისუნარიან ადამიანზე მოვა სამოც წელს გადაცილებული 62 კაცი. სამოც წელს გადაცილებულთა რიცხვი გადააჭარბებს 15 წლამდე ბავშვების რიცხვს. 2050 წელს დედამიწის მოსახლეობის 70 პროცენტი იცხოვრებს ქალაქებში.

* * *

**ავსტრალიაში პოლიცია ორი კაცის დაკითხვას აწარმოებს ხანძართან დაკავშირებით, რომელმაც 181 ადამიანი იმსხვერპლა**



დეტექტივებმა დააკავეს ორი მამაკაცი, როდესაც მიიღეს ცნობა მათი საეჭვო მოქმედების შესახებ. გამოკვლევა საწყის ეტაპზეა და პოლიცია უარს აცხადებს უპასუხოს შეკითხვას, ეჭვმიტანილები არიან ისინი ხანძრის გაჩენაში თუ მაროდიორობაში. ჯერჯერობით დაკითხულთათვის ბრალდება არ წაუყენებიათ.

* * *

**ლეხ ვალენსას არ უშვებენ ვენესუელაში: იგი „თიხის ფეხებიანი კერპია", თქვა ჩავესმა**

ვენესუელმა ლიდერმა აცნობა, რომ მისთვის გაურკვეველია, რა რანგით ჩამოდის ვალენსა ქვეყანაში. ოპოზიციური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა და 1983 წლის მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს პარასკევს ჩავიდეს კარაკასში „სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა" მოწვევით.

* * *

**იაპონიის პოლიციამ გადაარჩინა 95 პოტენციური თვითმკვლელის სიცოცხლე. მათი განზრახვა მან გამოიანგარიშა ინტერნეტის მეშვეობით**

ამავე დროს წესრიგის დამცველებმა ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ სულ ცოტა 7 ადამიანის თვითმკვლელობა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ 2016 წლისთვის ყოველწლიურად შეუძლიათ გადაარჩინონ თვითმკვლელობას 6 ათასზე მეტი ადამიანი.

იაპონიაში ბოლო ხანებში ყოველწლიურად თავს იკლავს 30 ათასზე მეტი კაცი.

* * *

**ჩინეთის ხელისუფლებამ შექმნა ქათმის გრიპის ვაქცინის მარაგები დაავადებათა შესაძლო აფეთქების შემთხვევისთვის**

ასეთი ზომები დაკავშირებულია კონტროლის გამკაცრებასთან ამ დაავადების გავრცელების გამო. ჩინეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, უკანასკნელ პერიოდში დარეგისტრირდა ადამიანთა ქათმის გრიპით დაავადების 8 შემთხვევა. ხუთი მათგანი სასიკვდილოდ აღმოჩნდა.

# მარშალის ფონდის ექსპერტი: რუსეთი და ამერიკა არ უნდა გადაიქცნენ სამხრეთ ოსეთის 35 ათასი მოქალაქის მძევლებად

**ამის შესახებ 11 თებერვალს განაცხადა მარშალის ფონდის ტრანსატლანტიკური ჯგუფის „გერმანია-ამერიკის შეერთებული შტატების" უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა იორგ გიმელრაიხმა.**

მისი სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის წინადადებას – არ მივაქციოთ ყურადღება აზრთა სხვადასხვაობას რუსეთისა და ამერიკის მხარეებს შორის და საჭიროა მთელი ძალისხმევა მივმართოთ ურთიერთობათა რაციონალიზაციის აქტივიზაციაზე, ვინაიდან „ორმა ისეთმა სუპერქვეყანამ, როგორებიცაა რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, უნდა გამოიჩინოს სათანადო გონიერება, რათა არ გადაიქცნენ სამხრეთ ოსეთის 35 ათასი მოქალაქის მძევლებად". „ამერიკისა და რუსეთისთვის შესაფერისი გზების გამონახვა სამხრეთ ოსეთის გამო წარმოქმნილ დიპლომატიურ კონფლიქტში ხანგრძლივ დროს მოითხოვს".

ექსპერტს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას პრიორიტეტულ ამოცანად გახდება ბირთვული არსენალის მარაგის შემცირება. არსებულ შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის სტრატეგიული და შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ ვადა გასდის მიმდინარე წლის ბოლოს და პრეზიდენტმა ობამამ პრეზიდენტ მედვედევის წინადადებაზე შესთავაზა ახალი წინადადება შეამცირონ ბირთვული იარაღის მარაგი 80 პროცენტამდე.

„რუსეთი და შეერთებული შტატები პრაგმატულად უნდა მიუდგნენ საერთო ამოცანებისა და მათი განხორციელების რაციონალური ხერხების განსაზღვრის საკითხებს მათი შენახვის ხარჯების გათვალისწინებით. ამას გარდა, თანამშრომლობა მსოფლიო საფინანსო კრიზისის მართვასთან და მსოფლიო ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია, სადაც საერთო მიდგომა შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს ამოცანების გადაჭრაში. დღეს მსოფლიო იმდენად ურთიერთგლობალურია და ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ შეუძლებელია ამ პრობლემების გადაჭრის მონახვის გზები რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე", – განაცხადა გიმელრაიხმა.

უფრო ადრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა პრესკონფერენციაზე თეთრ სახლში განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ერთობლივი ლიდერობის მნიშვნელობის შესახებ ბირთვული გაუვრცელებლობის საკითხებში. ამერიკის პრეზიდენტის აზრით, ხელშეკრულების დადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეუძლია შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი ბირთვული იარაღის გავრცელების თავიდან აცილების საქმეში. უდიდეს საფრთხეს შეიცავს ბირთვული იარაღის გამოჩენა ახლო აღმოსავლეთში, აღნიშნა ობამამ.

თავის მხრივ, 7 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა 45-ე კონფერენციის დროს მიუნხენში განაცხადა, რომ რუსეთმა კვლავ უნდა გაააქტიუროს კონტაქტები ნატოსთან, დაივიწყოს აზრთა სხვადასხვაობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა, კერძოდ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. „ამერიკის შეერთებული შტატები არასოდეს აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ რომელიმე ქვეყანაში იყოს გავლენის სფეროები. ჩვენი შეხედულებანი ამასთან დაკავშირებით უცვლელია. სუვერენულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, თავად მიიღონ გადაწყვეტილებანი და აირჩიონ მოკავშირეები", – განაცხადა მან.

REGNUM

ვეტერინარია

# რას მოგვიტანს გაზაფხული?

## მანამდე კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით ეპიზოოტიური მდგომარეობა საიმედოა

**როგორი ეპიზოოტიური მდგომარეობით დავამთავრეთ შარშანდელი წელი და მოახლოებული გაზაფხულისთვის ხომ არ არის განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა აფეთქების საფრთხე? და თუ ეს მოხდა, არის თუ არა მზად ქვეყანა მასთან საბრძოლველად?**

ამ კითხვებზე პასუხების მისაღებად სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში მივედით.

პრესცენტრის ოპერატიული ინფორმაციით, 2008 წელს ქვეყანაში სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული იყო პროფილაქტიკური აცრები განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებებზე, როგორიცაა **თურქული, ჯილეხი** და **ცოფი,** დიაგნოსტიკური გამოკვლევები ბრუცელოზზე და ალერგიული გამოკვლევები ტუბერკულოზზე.

თურქულზე ეპიზოოტური კეთილსაიმედოობის შესანარუნებლად ვაქცინაცია დაგეგმილი იყო საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში. სამცხე-ჯავახეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (ბუფერული ზონები), სადაც გათვალისწინებული იყო თურქულის დაავადებაზე ამთვისებელი მსხვილფეხა 214093 სული და წვრილფეხა 95043 სული პირუტყვის ორჯერადი ვაქცინაცია.

პროფილაქტიკური ვაქცინაცია ასევე გათვალისწინებული იქნა სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე იმ რაიონების პირუტყვზე, რომლებიც მომთაბარეობენ საზღვრისპირა საგაზაფხულო საძოვრებზე, როგორც დაავადების წარმოშობა-გავრცელების მაღალი რისკის ზონებში, ასევე კახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. სულ ასეთია 449065 სული მსხვილფეხა და 614162 წვრილფეხა პირუტყვი.



ქვეყნის დანარჩენ რაიონებში თურქულით დაავადების კერის გაჩენის შემთხვევაში ლიკვიდაციისა და იმუნური ფონის გასამყარებლად შექმნილია 70765 დოზა თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინის სარეზერვო ფონდი.

რაც შეეხება ჯილეხის დაავადებას, მის საწინააღმდეგოდ ქვეყანაში დაგეგმილია 311376 სული მსხვილფეხა და 2000 სული წვრილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია, რაც მთლიანად შესრულებულია. შექმნილია აგრეთვე 23560 დოზა ვაქცინის სარეზერვო ფონდი.

ცოფის საწინააღმდეგოდ იმუნიზაცია ჩაუტარდა 214220 სულ ცხოველს.

წლის პირველ ნახევარში საქართველოში ცხოველების განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია საქართველოს მთავრობის №95 დადგენილების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა განახორციელეს, მაგრამ ეროვნულ სამსახურთან შეთანხმებითა და მეთოდური დახმარების გაწევის შედეგად, ხოლო წლის მეორე ნახევარში ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებები უკვე ეროვნულმა სამსახურმა თავისი ძალებით განახორციელეს.

დაავადების კერებში ოპერატიული ვეტერინარული-სანიტარიული ღონისძიებების განხორციელების წყალობით დაავადება საბედნიეროდ მასობრივად არ გავრცელებულა.

ფრინველის გრიპის საქართველოში შემოჭრისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ეროვნული სამსახური გეგმაზომიერად განახორციელებს შესაბამის ვეტერინარულ-სანიტარიულ ღონისძიებებს, დაწესებულია სრული მონიტორინგი და ზედამხედველობა ფრინველის ჯანმრთელობაზე.

რაიონებსა და ქალაქებში მუშაობენ შესაბამისი შტაბები, მუშაობს „ცხელი ხაზი“, რომლის საშუალებით მოსახლეობას შეუძლია ნებისმიერ დროს მიაწოდოს ინფორმაცია შტაბს ფრინველის გაწყლომის შესახებ, რის საფუძველზეც ოპერატიულად მოხდება სათანადო რეაგირება. შტაბები ასევე მომარაგებულია საჭირო რაოდენობის სადეზინფექციო ხსნარებით და ტექნიკით.

როგორც ეროვნულ სამსახურში ამიხსნეს, ფრინველის გრიპთან ბრძოლის მზადყოფნისა და განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას სისტემატურად ამოწმებენ და აფასებენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები.

2007 წლის სექტემბრიდან ღორის აფრიკული ცხელების მწვავე გამოვლინებები არ შეინიშნება, როგორც შარშან, ასევე წელსაც ეროვნული სამსახურის მუშაკები განახორციელებენ მოსახლეობის კუთვნილი ცხოველების (ღორებისძ მდგომარეობის მონიტორინგს. დაგეგმილია სერომონიტორინგის განხორციელებაც როგორც შინაურ, ისე გარეულ ღორებშიც. „ღორის აფრიკულ ცხელებას“ სურსათის მსოფლიო ორგანიზაცია FAO აკონტროლებს. პროგრამა ითვალისწინებს გარეული და შინაური ღორების გამოკვლევას ვირუსმატარებლობაზე, ასევე ტკიპების, როგორც ვირუსმატარებლის კვლევას, ვეტერინარი სპეციალისტების ტრენინგებს და მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას.

ასე რომ, პროგნოზი უიმედო ჯერჯერობით არ არის, ვნახოთ, რას მოგვიტანს გაზაფხული.

**ნაზი იმნაიშვილი**

მრეწველობა

***ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, მათ შორის განვითარებულისთვის, სარკინიგზო ტრანსპორტის მნიშვნელობა საქართველოსთვისაც განუზომლად დიდია. ამასთან, თუ მთელ რიგ ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ (კერძოდ, გეოგრაფიულიდან გამომდინარე გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, სამგზავრო თუ სატვირთო ავიაგადაზიდვების, შეიძლება ითქვას, „ჩანასახოვან“ მდგომარეობას, მაგისტრალური ტრასის კეთილმოუწყობლობას, მასზე გაბატონებულ „მეხარკეობის“ ინსტიტუტს, ხოლო მის გასწვრივ თანამედროვე მოთხოვნების ინფრასტრუქტურის ფაქტობრივ უქონლობას და ა.შ.), მისი როლი გაცილებით უფრო მეტად წონადი, ხოლო შესაბამისი პირობების შექმნის შემთხვევაში განვითარების პერსპექტივები უფრო თვალნათელი ხდება.***

# ეკონომიკის ვაგონშემკეთებლური „ხიმინჯი“

საქართველოს რკინიგზისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა, რომელიც, მართალია, სადღეისოდ ქვეყნის ათეული წლების წინანდელი ინდუსტრიის ერთ-ერთი ფლაგმანის აჩრდილი თუ არის, მაგრამ, რაც მთავარია, მაინც მწყობრშია. ფაქტის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, ვფიქრობთ, ჩვენი დუხჭირი ეკონომიკისთვის, თანაც გლობალური კრიზისის პირობებში, რომლის პიკი, როგორც ექსპერტები „გვპირდებიან“, ჯერ კიდევ წინ გვიდევს, ნამდვილად შეუძლებელია. ყოველივე ამის თქმის საბაბს გვაძლევს ის გარემოება, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ,



თბილისის ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ დამკვეთს – საქართველოს რკინიგზას, სამგზავრო მატარებლების მოდერნიზებისთვის გათვალისწინებული ხუთი მილიონი ლარის მოცულობის კონტრაქტის ფარგლებში რიგით მეხუთე ელექტრომატარებელი წარუდგინა. აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ 2009 წლისთვის საქართველოს რკინიგზამ ქარხანას 19,5 მილიონი ლარის დაკვეთა უკვე გადასცა. შესაბამისი კონტრაქტით გათვალისწინებულია სამი სრულიად ახალი სამგზავრო შემადგენლობის შექმნა და რვა სამგზავრო შემადგენლობის მოდერნიზება. გარემონტებული და მოდერნიზებული ელექტრომატარებლები საგარეუბნო მიმოსვლისთვისაა გათვალისწინებული. უნდა ითქვას, რომ ყველა ძველი საგარეუბნო მატარებლის ახლადგარემონტებული და მოდერნიზებული შემადგენლობით შეცვლის შარშან დაწყებული პროცესი მიმდინარე წლის მიწურულამდე დასრულდება.

ყოველივე ამის განხორციელება, ანუ ძველი ლოკომოტივებისა და ძველი ვაგონების განახლება-მოდერნიზება, ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის შრომით გახდა შესაძლებელი. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ აქ, სამწუხაროდ, მრავალი სხვა ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი საწარმოსგან განსხვავებით, არა მარტო ახერხებენ არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნებას, არამედ, თქვენ წარმოიდგინეთ, ახალ სამუშაო ადგილებსაც ქმნიან, რაც ჭეშმარიტად სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს. ბარემ ნათქვამს მარილსაც მოვაყრით და იმასაც ვიტყვით, რომ ქარხანაში ამჟამად 550 კაცი მუშაობს, რომელთა ხელფასი 400-1500 ლარის ფარგლებში მერყეობს.

დაბოლოს, ჩვენი აზრით, კიდევ ერთ საგულისხმო გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება. შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხანა ექსპორტზეც მუშაობს. ეკონომიკური განვითარების მინისტრ ლაშა ჟვანიას განცხადებით, წლეულს ასევე მიღებულია 40 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების შეკვეთა, რაც, დაგვეთანხმებით, ჩვენი გაუბედურებული ეკონომიკური მდგრადობისთვის უაღრესად საჭირო „ხიმინჯია“.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

### კვეზერელს აინტერესებს რძეს რისგან აწარმოებენ

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოში რძის გაყიდვის მკვეთრ ზრდას ელის. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბაკურ კვეზერელმა განაცხადა.**

**„კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ინფორმაციით, მინისტრმა განაცხადა, რომ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს უკვე ინიცირებული აქვს კანონპროექტი, რომელიც მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.**

**ამ კანონით სავალდებულო გახდება რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიებმა პროდუქციაზე ხაზგასმით და თვალსაჩინო ადგილზე მიუთითონ, რისგან არის ის დამზადებული, რძისგან თუ რძის ფხვნილისგან. დღეს, პროდუქციის 90 % რძის ფხვნილისგან არის წარმოებული, მაგრამ მომხმარებლებმა ამის შესახებ ბევრი არაფერი იციან. როდესაც გაკეთდება აღნიშვნა, მყიდველი რძისგან დამზადებულ პროდუქტს შეიძენს და არა რძის ფხვნილისგან, რაც რძის გაყიდვას მკვეთრად გაზრდის, – აღნიშნა ბაკურ კვეზერელმა.**

### მენინგოკოქცემიის უმძიმესი შემთხვევა თბილისში

**თბილისში მენინგოკოქცემიის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა.**

**2 წლის მარიამ მუზოევი მენინგოკოქცემიის უმძიმესი დიაგნოზით, დაავადების გართულებული ინფექციურ-ტოქსიკური შოკით, საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**გოგონას სხეულზე სხვადასხვა ზომისა და ფორმის სისხლჩაქცევები და მაღალი სიცხეები აღენიშნებოდა.**

**მას უკვე უტარდება ინტენსიური მკურნალობის კურსი, თუმცა ექიმების განცხადებით, მისი მდგომარეობა მძიმეა.**

### კოდაში დევნილებს მიწის ნაკვეთები დაურიგეს

**12 თებერვალს, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში ჩასახლებულ რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულებს ეწვია. მინისტრმა პირადად მიიღო მონაწილეობა მათთვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემის პროცესში.**

**დაზარალებულ მოსახლეობას კოდის დასახლებიდან ახლოს მდებარე მიწის ნაკვეთები წილისყრის პრინციპით დაურიგდა.**

**სახელმწიფო დაზარალებულებს მიწის დამუშავებაშიც დაეხმარება – მოამარაგებს ტექნიკური აღჭურვილობით, საწვავით, სათესლე მასალით, მოუწესრიგებს სარწყავ სისტემას.**

**სოფელ კოდაში 446 ოჯახია ჩასახლებული. თითოეულმა მათგანმა მფლობელობაში ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთი მიიღო.**

### დიღმის გზატკეცილი სამ დღეში გაიხსნება

**დიღმის გზატკეცილი სამ დღეში გაიხსნება. გზის დაზიანებული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოები ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.**

**გზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს კომპანია „რაკიინ დეველოპმენტი“ აწარმოებდა.**

**გზის ამ მონაკვეთზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება კომპანიის მიერ სავაჭრო ცენტრის მშენებლობის დაწყებამ განაპირობა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# ...და ნაკვალევს მსაჯი შლის

**გუშინ თითქმის ყველას ფინელი მსაჯის იუნი ჰიიტიას გვარი ეკერა პირზე — ეს რა თამაში წაგვაგებინაო. გეთანხმებით, მისმა გამოგონილმა პენალტმა მართლაც არსებითი გავლენა მოახდინა ირლანდიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა შესარჩევი შეხვედრის შედეგზე, მაგრამ ყველაფერს მას ნუ დავაბრალებთ და თავს ნუ მოვიტყუებთ, აქაოდა სკანდინაველი რეფერი და მისი საბედისწერო გადაწყვეტილება რომ არა, სამქულიანი გამარჯვება ჯიბეში გვედოო.**

**ირლანდია — საქართველო** 2:1 (0:1).

**ირლანდია:** გივენი, კელი, კილბეინი, ოში, დანი, ველანი, მაკგიდი, ენდრიუსი, დოილი, კინი, დაფი (ჰანტი).



**მწვრთნელი:** ჯოვანი ტრაპატონი.

**საქართველო:** ლომაია, ლობჟანიძე, კალაძე, კვირკველია, რაზმაძე, იაშვილი, სირაძე (ალექსიძე), ხიზანიშვილი, გოცირიძე (მერებაშვილი), კობიაშვილი, მენთეშაშვილი (ხმალაძე).

**მწვრთნელი:** ექტორ რაულ კუპერი.

**გოლები:** იაშვილი (1 წთ) კინი (73-ე წთ. პენ., 79-ე წთ.).

**გაფრთხილება:** მენთეშაშვილი, ლობჟანიძე, კვირკველია, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ენდრიუსი.

რადგან ზემოთ ეჭვი გამოვთქვით ჩვენს თანამემამულეთა შესაძლო წარმატების საფუძვლიანობის თაობაზე, შევეცდებით, ასეთი მოსაზრება არგუმენტებით გავამყაროთ.

უპირველესად, დააკვირდით, რამდენი „ჯვაროსანი" გახდა ყვითელი ბარათით „დაჯილდოების" ღირსი. ბუნებრივია, ეს არა მარტო თავგანწირულ ბრძოლაზე, არამედ არაოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციებსა და ოსტატობის დეფიციტზე მეტყველებს.

ვიმედოვნებთ, არც მეორე ტაიმი დაგვავიწყებია, როცა მასპინძელთა იერიშებმა ტოტალური ხასიათი მიიღო და შტურმში გადაიზარდა, კუპერის შეგირდები კი უთავბოლოდ იგერიებდნენ ბურთს. გეკითხებით — გაუძლებდნენ ბიჭები საფინალო სასტვენამდე მეტოქის ასეთ დაწოლას? დიდი ალბათობით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ვერა, მით უმეტეს მაშინ, როცა გუნდში ტემპის დამგდები და ბურთის დამჭერი მოთამაშე არა გვყავს.

და ბოლოს, წინამორბედისა არ იყოს, არგენტინელი სპეციალისტიც, სამწუხაროდ, საფეხბურთო სამყაროშიც უილბლო, გნებავთ დანავსულ მწვრთნელადაა ცნობილი, რაც მის გულმოდგინე შრომას (ამის დაუნახაობა ნამდვილად უმადურობა იქნებაა), ნებსით თუ უნებლიეთ,



ქარს გატანებულ მილიონებთან და უარყოფით შედეგებთან აიგივებს.

ღმერთმა ქნას, გამოთქმული პოზიცია წლეულსვე ულოგიკო აღმოჩნდეს.

იტალია, ირლანდია — 10-10, ბულგარეთი — 3, ჩერნოგორია, საქართველო — 2-2, კვიპროსი — 1 ქულა.

**28 მარტს ითამაშებენ:** კვიპროსი — საქართველო, ჩერნოგორია — იტალია, ირლანდია — ბულგარეთი.

**აქვე გაუწყებთ დანარჩენი შესარჩევი და ამხანაგური მატჩების შედეგებს:** მალტა — ალბანეთი 0:0, სან-მარინო — ჩრდილოეთ ირლანდია 0:3, ჩრდილოეთ კორეა — საუდის არაბეთი 1:0, იაპონია — ავსტრალია 0:0, უზბეკეთი — ბახრეინი — 0:1, ირანი — სამხრეთ კორეა 1:1, აშშ — მექსიკა 2:0, სალვადორი — ტრინიდადი და ტობაგო 2:2, კოსტა-რიკა — ჰონდურასი 2:0, საფრანგეთი — არგენტინა 0:2, ტუნისი — ჰოლანდია 1:1, ესპანეთი — ინგლისი 2:0, გერმანია — ნორვეგია 0:1, ბრაზილია — იტალია 2:0, შვეიცარია — ბულგარეთი 1:1, უელსი — პოლონეთი 0:1, პორტუგალია — ფინეთი 1:0, მაროკო — ჩეხეთი 0:0, ავსტრია — შვედეთი 0:2, ლიბია — ურუგვაი 2:3, ლატვია — სომხეთი 0:0, ისრაელი — უნგრეთი 1:0, მაკედონია — მოლდოვა 1:1, ლიტვა — ანდორა 3:1, სამხრეთ აფრიკა — ჩილე 0:2, საბერძნეთი — დანია 1:1, ესტონეთი — ყაზახეთი 0:2, ისლანდია — ლიხტენშტეინი 2:0, ბელგია — სლოვენია 2:0.

შეხვედრა

# სახელოვან ფალავნებს შეასაინძლეს



**თბილისის 57-ე საჯარო სკოლაში მეორე წელიწადია მოსწავლეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ (ხელმძღვანელი ვახტანგ ბაქანიძე) ღონისძიებებში: ნაყოფიერად მუშაობს რამდენიმე სექცია.** მინიფეხბურთელებმა საკუთარ ხელოვნურსაფარიან მოედანზე შარშან თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელის ვაჟა ჟვანიას სახელობის ტურნირი გამართეს ორ ასაკობრივ ჯგუფში, თებერვლის მიწურულს სპორტის დამსახურებული ოსტატის — ალექსანდრე ჩივაძის სახელობის ტურნირს მოაწყობენ. ამ დღეებში ჭიდაობის დარბაზსაც გახსნიან და ნორჩ ფალავნებსაც დააფინანსებენ. ყველაფრის მოთავე გახლავთ სკოლის დირექტორი იოსებ ხუციშვილი, რომელიც ჭაბუკობისას თავადაც კარგი მოჭიდავე იყო, სპორტის ოსტატია ძიუდოსა და სამბოში. სწორედ მისი ინიციატივით ამ დღეებში პედაგოგები და მოსწავლეები პეკინის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულ მანუჩარ კვირკველიას და მსოფლიო ჩემპიონ რამაზ ნოზაძეს, ასევე ვეტერან ფალავანს, ევროპის ჩემპიონ ომარ ბლიაძეს შეხვდნენ. სტუმრებმა მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილეს: ისაუბრეს სპორტული ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებზე, უპასუხეს შეკითხვებზე და სიამოვნებით გასცეს ავტოგრაფები.

**იოსებ ხუციშვილი: დღევანდელი შეხვედრა ჩვენს მოსწავლეებს არასდროს დაავიწყდებათ, მჯერა, რომ ცოცხალ ლეგენდებთან ასეთი ურთიერთობა სასწავლო-საალმზრდელო და სპორტული ცხოვრების გააქტიურებაში დაგვეხმარება.**

**გიორგი გაგუა**

**ავტორის ფოტო.**



ათლეტიზმი

# მსოფლიო თასზე - არასრული შემადგენლობით

**თებერვლის ბოლო დეკადაში ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენთაუნში მსოფლიოს თასი გათამაშდება ძალისმიერ სამჭიდსა და მის ცალკეულ მოძრაობებში. ფავორიტებად ამერიკის, საქართველოს და კანადის გუნდებს მიიჩნევენ, თუმცა მსოფლიოს 2008 წლის ჩემპიონი საქართველოს ეროვნული ნაკრები (ფედერაციის პრეზიდენტი — პეტრე მამრაძე), ფინანსური პრობლემების გამო არასრული შემადგენლობით მიემგზავრება ბორდენთაუნში.**

ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი ზემძიმე წონაში **გერონტი ჯმუხაძე** (კაპიტანი), 2008 წლის მსოფლიოს უძლიერესი სამჭიდელი **ზურაბ ძამუკაშვილი** (82,5 კგ), საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ძალისმიერ სამჭიდში 23 წლის **გიორგი მესაბლიშვილი** (100 კგ), მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონები — **ბექა მაზანიშვილი** (110 კგ) და **ზურაბ ჭავჭანიძე** (125 კგ), ასევე პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **გოჩა გუჯუაძე** (125 კგ), რომელიც ძალოვანთა მსოფლიოს თასზე იასპარეზებს სამხედროებს, პოლიციელებსა და მეხანძრეებს შორის. ეს შეჯიბრი მსოფლიოს თასის გათამაშების პროგრამაში შედის.

**სურათზე: საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრები, რომელთაგან ამერიკაში მხოლოდ ნახევარი გაემგზავრება.**



ინტერნეტიდან



## „სოჭის ტური" გადაიდო

**ჩვენ ჯერ კიდევ 7 თებერვალს ვწერდით, რომ საეჭვო გახდა საერთაშორისო ველორბოლის „პრო-ტურის" მორიგი ეტაპის „სოჭის ტურის" გამართვა. და აი, ველოსპორტის რუსეთის ფედერაციის (ФВСР) ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ეკონომიკური მიზეზებით დიდი ველოტური გადადებულია 2010 წლისთვის, რაზეც ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (UCI) თანხმობაც მიიღო.**

როგორც რუსეთული ველოსპორტის ხელმძღვანელობა აცხადებს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამ დიდი სპორტული ღონისძიების შესანარჩუნებლად. ამავე დროს გამჟღავნდა, რომ უნდათ ამ ტურის რუსეთის დედაქალაქში გატანა.

## ხელსაყრელი გარიგება

**ჭოკით ხტომაში ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა ელენა ისინბაევამ კონტრაქტი გააფორმა სპორტული ეკიპირების დამამზადებელ უდიდეს ჩინურ კომპანიასთან UNING.** ეს ძალზე ხელსაყრელი გარიგება გათვალისწინებულია 5 წელიწადზე. სახელოვანი სპორტსმენი ამისთვის მიიღებს 1 500 000 დოლარს, რაც უპრეცედენტოა მძლეოსნობისთვის. ამას გარდა, ისინბაევას მოქმედი კონტრაქტი აქვს კომპანია „ადიდასთანაც".



## კირილენკოს კრიშტიანუ მოსწონებია

**რუსეთელ ლამაზმან ჩოგბურთელს მარია კირილენკოს თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავი, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ მოსწონებია.**

„მიმაჩნია, რომ მსოფლიოში არაჩვეულებრივი სპორტსმენია ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ, — განაცხადა 22 წლის კირილენკომ ამერიკულ გამოცემას Sport illustratad. ლამაზმანი სპორტსმენი გატაცებით ჰყვებოდა ფოტოსესიაზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კითხვადი ჟურნალისთვის. „დაუჯერებლად ბედნიერი ვიყავი, მიწვევა რომ მივიღე, რადგან ძალზე ბევრი კარგი რამ გამიგია ამ ჟურნალზე... ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს მიწვევა წინგადადგმული ნაბიჯია ჩემთვის კარიერაში".



◎ ხსოვნა გულისა

# ჩემი მწერალი



ნუგზარ შატაიძე ჩემი მწერალია...

„ჩემს მწერლებს“ ვუწოდებ მათ, ვის წიგნებსაც, რამდენჯერმე წაკითხულებს, ხშირად ვუბრუნდები, წელიწადში სულ ცოტა, ორ-სამჯერ მაინც, მომენატრება ხოლმე სამყარო, რომელშიც არაერთხელ მიგვრძნია თავი კარგად, ვიღებ თაროდან კრებულს და ვიწყებ კითხვას. როგორც წესი, ვკითხულობ ხოლმე ძალიან გულდასმით და ძალიან ნელა – მაქსიმალურად ვიხანგრძლივებ სიამოვნებას.

ლიტერატურამ დიდი გავლენა იქონია ჩემზე და ხშირად ვიმეორებ ხოლმე, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, ორმოცს რომ გადავაბიჯე მერე – კარგმა წიგნებმა გადამარჩინეს, კარგ მწერლებთან, ძველებთან და ახლებთან, ქართველებთან და უცხოელებთან ვალში ვარ-მეთქი...

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი მათგანია...

ნუგზარ შატაიძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძვრების, ხელოვნებაში მომხდარი ბუნებრივი და არაბუნებრივი ცვლილებების მიუხედავად, მხნედ და ჯიუტად მიუყვება გზას, ბილიკს თუ აღმართს, რომელზე სიარულიც, ჩემი ღრმა რწმენით, ყველაზე ძნელია. ეს გახლავთ გზა, რომელსაც მიუყვებოდნენ და დღემდე მიუყვებიან მწერლები, რომლებიც კი არ აღბეჭდავენ ცხოვრებას ფოტოგრაფებივით, კი არ აკვირდებიან მას, როგორც ექსპერიმენტისთვის გამეტებულ საბრალო ცხოველს, უკვე დაწერილის ინტერპრეტაციებს კი არ სთავაზობენ მკითხველს, არამედ თანაუგრძნობენ ადამიანს, უყვართ ადამიანი და, იმ დიდი ამერიკელისა არ იყოს, მწერლობას მშვენივრად რომ უთავსებდა ფერმერობას – სჯერათ, რომ ის არათუ გაუძლებს და გადარჩება, არამედ გაიმარჯვებს კიდეც!

„მეოცე საუკუნის ქართული მოთხრობა“, როგორი სახელია?.. რაც გნებავთ, ის წარმოიდგინეთ ამ სახელს მიღმა – გნებავთ ფანტასტიკური წიგნი, გნებავთ ტირეთი დაბოლოებული სტრიქონი სქელ, ლორდთა პალატის წევრივით სოლიდურ ენციკლოპედიაში... ამ სახელის ერთ-ერთი შემქმნელია ნუგზარ შატაიძე – „ჩემი მწერალი“.

**ზაალ სამადაშვილი**
2004 წ.

◎ შეხვედრა პრემიერის წინ

# რეზო ჩხეიძე: სულიერება გადაგვარჩენს!

**აღიარებული ხელოვანის ყოველი შემოქმედებითი სიახლე საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს. ასეთი ინტერესის დასტური იყო ახლახან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებითა და პედაგოგებით სავსე სააქტო დარბაზი, სადაც კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ, რომლის ფილმები განსაკუთრებული და გამორჩეული მოვლენაა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, თავისი ახალი ფილმის ჩვენება მოაწყო.**

„მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი“ – ასე უწოდა რეჟისორმა თავის ბოლო ნამუშევარს, რომელიც შეიქმნა საქართველო-რუსეთის ერთობლივი პროექტით. აქედან გამომდინარე, ფილმის დაფინანსების 50 პროცენტი სწორედ რუსულ მხარეს გაუღია. ფილმი მიძღვნილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღსაყდრების 30 წლისთავისადმი.

კინოჩვენების წინ რეჟისორმა დარბაზს უამბო, თუ რამ უბიძგა ამ ფილმის შექმნა, მასზე მუშაობის საინტერესო მომენტებზე, გააცნო შემოქმედებითი ჯგუფის წევრები.

– კინოსურათი გადაღებულია შვედი ნობელიანტი მწერლის სელმა ლაგერლოფის ნაწარმოების მიხედვით. ამ პრემიის მინიჭების ფორმულირება ასეთი იყო: „მაღალი იდეებისა და სულიერებისათვის“. სწორედ ამან მიიქცია ჩემი ყურადღება, ახლა, როცა ჩვენს დღევანდელობაში მეტად რთული პროცესები მიმდინარეობს, სულიერება დიდ როლს ასრულებს, – ბრძანა რეზო ჩხეიძემ.

სცენარისტების ჯგუფმა – ანზორ ჯუღელმა, სულიკო ჟღენტმა და ამირან დოლიძემ თავად რეჟისორის მონაწილეობით ქართულ თემასა და ქართულ ნიადაგს მორგებული სცენარი შექმნეს. ფილმის მთავარი მოქმედი გმირია ახალგაზრდა ყმაწვილი ლუკა ბაგრატიონი, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით აღდგომის დღეებში მოხვდება იერუსალიმში და ესწრება ცეცხლის გადმოსვლას. იგი ასრულებს თავის წინაპართა დანაბარებს – თუ იერუსალიმიდან წმინდა ცეცხლს ჩაუქრობლად ჩამოიტანს საქართველოში, საქართველო კვლავ გაბრწყინდება, როგორც ოდესღაც, ბაგრატიონების მეფობის ჟამს.

მთავარი გმირი ამ დანაბარების შესასრულებლად მძიმე თავგადასავლებით აღსავსე გზას გადის. მშიერ-მწყურვალს მრავალ განსაცდელს რწმენა და სამშობლოს სიყვარული აძლევინებს და, რაც ყველაზე მთავარია, მასთან არის უფალი. სწორედ გზაში ყალიბდება იგი ჭეშმარიტ პიროვნებად, ნამდვილ ქრისტიანად.

ფილმის ემოციური ზემოქმედება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი მსვლელობის დროს დარბაზი დროდადრო აპლოდისმენტებით აჯილდოებდა რეჟისორს და შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს, ასევე მთავარი როლის შემსრულებელს თორნიკე ბზიავას.

ფილმი განსაკუთრებული აქტუალურობით ჟღერს დღეს, როცა საუბარია ბაგრატოვანთა სამეფო დინასტიის აღდგენაზე.



– ეს თემა საქართველოში სულ ტრიალებდა, ახალი არაფერია და მაინც თითქოს ახლა დაიბადა, ამ დღისთვის, – ბრძანა რეჟისორმა.

როგორც გაირკვა, ფილმის ქართული ვარიანტი უსახსრობის გამო, ჯერ არ არსებობს. იგი გახმოვანებულია რუსულ ენაზე. რეჟისორის თქმით, მისი გახმოვანებისთვის არც ერთ რუს მსახიობს ჰონორარი არ მიუღია. მათ უსასყიდლოდ იმუშავეს.

კინოსურათის ჩვენების შემდეგ მეუფე ანანიამ მაღალი შეფასება მისცა მას.

„ფილმი დრამატიზმით. არის აღსავსე და ადამიანები, მეტადრე ახალგაზრდა თაობა მისგან ბევრს ისწავლიან. ფილმი ქადაგებს რწმენას, თავდადებას, სამშობლოს სიყვარულს. იმას, რომ თუ ადამიანს აქვს რწმენა, მას უფალი უთუოდ ეხმარება, რადგანაც მასზე გადმოდის უფლის მადლი, – აღნიშნა მან.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ფრანგიშვილმა მადლობა გადაუხადა ღვაწლმოსილ რეჟისორს სტუმრობისა და ასეთი მშვენიერი ფილმის შექმნისთვის.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**შპს „თბილისის სააუქციონო სახლი“ (მდებარე: თბილისი, კოსტავას ქ. 27) მართავს პირველ საჯარო აუქციონს მოვალის შპს „ნოლას“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ მოძრავ ქონებაზე:**

1. ერთი ერთეული ავტომანქანა მერსედეს-ბენც E280, სარეგისტრაციო ნომრით NOL 010, გამოშვების წელი 2007, ტიპი სედანი, ფერი შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი WDB2110541B220774;

2. ერთი ერთეული ავტომანქანა მერსედეს-ბენცი, E280 3.0, სარეგისტრაციო ნომრით NOL 100, გამოშვების წელი 2007, ტიპი სედანი, ფერი შავი, საიდენტიფიკაციო ნომერი, WDB2110541B157495

3. მექანიკური სატრანსპორტო საშუალება ჯცბ 3CX, ფერი ყვითელი, სარეგისტრაციო ნომრით CA721, გამოშვების წელი 2007, ტიპი ექსკავატორი ბორბლიანი, ფერი ყვითელი 4/8, საიდენტიფიკაციო ნომერი JCB3CX4TC71330767;

მოძრავი ქონება შპს „ნოლას“ საკრედიტო ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავებულია სს „ბანკ რესპუბლიკის“ სასარგებლოდ, რომელიც წარმოადგენს პირველად მოგირავნეს.

**აუქციონის დანიშვნის საფუძველია:**

1) კრედიტორის სს „ბანკ რესპუბლიკის“ წარმომადგენლის მომართვა;

2) კრედიტორსა და მესაკუთრეს შორის ხელშეკრულება გირავნობის საგნების შპს „თბილისის სააუქციონო სახლის“ მიერ რეალიზაციის შესახებ.

მოძრავი ქონება აუქციონზე გადის სამ ლოტად და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თითოეული მოძრავი ქონების (ლოტის) საწყისი გასაყიდი ფასი პირველ იძულებით აუქციონზე შეადგენს 20000 (ოცი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, გამრეკელის ქ. №19, მე-6 სართული, 2009 წლის 20 თებერვალს 10 სთ-ზე. ტელ. 18 03 62.

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

1) საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10%-ზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას, გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა“;

2) აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3) მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება);

4) თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროება).

აუქციონზე მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2009 წლის 19 თებერვალი, 17 საათი.

აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა მოძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხა) სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 5 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის სააუქციონო სახლის“ ანგარიშზე 10900938679, მომსახურე ბანკი: სს ბანკი „რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი.

**აფხაზეთის მთავრობა და უმაღლესი საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი ქირურგი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი**

**ანტონ ბაგათელია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ლაურა, შოთა გორგოძეები, მანანა, დავით კვაჭაძეები სამძიმარს უცხადებენ გია აბესაძის ოჯახს დედის**

**ლილი ჩიქოვანის**

**გარდაცვალების გამო.**

**ნატალია აბულაძე, ტატა, დავით ხვედელიანები გულწრფელად თანაუგრძნობენ თამრიკო და გია აბესაძეებს დედის, შესანიშნავი ქალბატონის**

**ლილი ჩიქოვანი-აბესაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**განცხადება**

სს „ელვა“ 2009 წლის 23 თებერვალს აწყობს აუქციონს შავი ლითონის ჯართის გაყიდვის მიზნით. ჯართის რაოდენობაა 7 ტონა. ჯართის სახეობაა ლითონის ფურცლის ნაკეთობები, დაზგების დეტალები, დგარები. საწყისი ფასი 1 ტონა 140 ლარი იმ პირობით, რომ აუქციონზე გამარჯვებული პირი თავისი სახსრებით ახდენს ჯართის დაჭრას, დატვირთვას და ტრანსპორტირებას. აუქციონი შედგება დღის 12 საათზე სს „ელვას“ ტერიტორიაზე, ჯიქიას 5-ში. განაცხადები მიიღება 22 თებერვლამდე.

**ყურადღება!**

**სს „ფოთის წისქვილქარხანა“** აცნობებს თავის აქციონერებს, რომ ამა წლის 4 თებერვალს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შეცვლასთან დაკავშირებით. **სს „ფოთის წისქვილქარხნის“** სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად 4 (ოთხი) წლის ვადით აირჩიეს რატი ღვამბერია, თამაზ მიქაძე, ლანა ბერულავა.

დეტალური ინფორმაციის გასაცნობად მოგვმართეთ **სს „ფოთის წისქვილქარხნის“** ადმინისტრაციას.

ტელ: 877 425111. გიორგი.

**განცხადება**

სს „ივერთბანკის“ სალიკვიდაციო კომისია აცხადებს, რომ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ რაიმე სახის მოთხოვნა სს „ივერთბანკის“ მიმართ, ვალდებულები არიან 2009 წლის 20 მარტამდე გამოცხადდნენ მისამართზე: დ. წყნეთი, გურამიშვილის ქ. №39-ში (საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შენობა, მე-4 სართული).

ალნიშნულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოთხოვნის ნამდვილობის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული თარიღის გასვლის შემდგომ პრეტენზიები აღარ მიიღება.

ტელ: 899-511-382.

ლიკვიდატორი

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.



**შემოგვიერთდით, ერთად გადავარჩინოთ მომავალი, დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი „იავნანა“

სენსაცია

# წყალი შეცვლის ბენზინს?

**როგორც ამბობენ, რუსეთში გამოიგონეს საწვავი ავტომანქანებისთვის, რომელიც 99 პროცენტით ჩვეულებრივი წყლისგან შედგება. აი, რა კომენტარს უკეთებს ამას გაზეთი „არგუმენტი ი ფაქტი“: გამოგონების არსი შემდეგშია: წყალს ამატებენ „ჰომეოპატურ დოზას“ ნებისმიერი საწვავისას – ბენზინის, დიზელის, მაზუთის, სპირტის, მცენარეული ზეთის – და ძრავა მუშაობს.**

„თუკი შესაძლებელია დაავადების განკურნება, როცა ავადმყოფს ქიმიურ პრეპარატებს კი არ ვაძლევთ, არამედ მხოლოდ წყალს მათი ნარჩენებით, რატომ ზუსტად ასე არ შეიძლება წვის პროცესის ინიცირება? – აუხსნა „Аиф“-ს დიმიტრი სტრემკოვმა, რუსეთის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის დირექტორმა, რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, – სწორედ ეს განახორციელა გამომგონებელმა იური კრასნოვმა. ატარებს რა წყალს განსაზღვრულ მექანიკურ ფორმებში, ის მასში იწვევს ინტენსიურ ქარიშხალსა და წყალთბრუნვას, რის შედეგადაც წყლის მოლეკულებში სუსტდება წყალბადისა და ჟანგბადის ატომების კავშირი, ამატებს რა, როგორც წვის კატალიზატორს, ნებისმიერ ნახშირწყალბადს, ხდება წყალბადის რეაქცია ჟანგბადთან სითბოსა და წყლის ორთქლის გამოყოფით. ეს რევოლუციური გამოგონებაა ენერგეტიკაში.



Аргументы и факты

გუშინ – დღეისთვის

# ისტორია გვასწავლის

## რა მექნა, მიბრძანეს!



**1682 წელს, ჩარლზ I მეფობის დროს, მეფის თვითნებური მოქმედებები რომ აღეკვეთა, ინგლისის პარლამენტმა დეპუტატ ელიოტის წინადადებით ასეთი რეზოლუცია მიიღო:** ყველა ქვეშევრდომი, რომელიც ნებაყოფლობით დაემორჩილება კანონსაწინააღმდეგო აქტებსა და მოთხოვნებს, ინგლისის თავისუფლების მტერი და მოღალატეა.

## სიძულვილის ჩაჩი



**გოეთე: „თუ პოეტი პოლიტიკაში გარევას მოიწადინებს და რომელიმე პარტიაში უნდა შევიდეს, მაშინ ის დაკარგულია როგორც პოეტი.** მაშინ ის უნდა დაემშვიდობოს თავის თავისუფალ სულს, მიუკერძოებელ თვალსაზრისს და დაიხუროს რაღაც სიჩლუნგის, სხვათა მიმართ ბრმა სიძულვილის ჩაჩი“.

## თავს ზემოთ ძალა არაა

**აურაცხელი გადასახადებისგან შეწუხებული პარიზელები მოაგონებდნენ ანრი III-ს (1551-1589ძ:** „იცოდეთ, თუ ხელმწიფე, მეფე მოინდომებს იმაზე მეტი გადასახადის აღებას, რაც მას ეკუთვნის, ქვეშევრდომები არ დაემორჩილებიან მას“.

## ძალით არ იქნება

**1789 წლამდე საფრანგეთის მოსახლეობა თავს არიდებდა ჯარში სამსახურს, რადგანაც ჯარი ხალხისათვის საძულველი რეჟიმის ერთგული დამცველი იყო.** სულ მალე მას შემდეგ, რაც რევოლუცია დაიწყო და ხალხის მიერ არჩეულმა დამფუძნებელმა კრებამ არმიაში რეფორმები განახორციელა, შეიარაღებულ ძალებში სამსახურის სურვილი ოთხმა მილიონმა მოხალისემ განაცხადა.

## „პატრიოტები“

**რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, 1905 წლის ზაფხულში, საქართველოს რაიონებში ეწყობოდა გაფიცვები, რამაც მეფის მთავრობა დიდად შეაშფოთა.** როდესაც ამ გაფიცვების წინააღმდეგ მიმართულმა ერთა შორის წასისინების პოლიტიკამ ხელისუფლებას სასურველი შედეგი არ მოუტანა, მანთბილისში შექმნა „პატრიოტებისაგან“ შედგენილი ბანდიტური ორგანიზაცია. ის აქტიურად თანამშრომლობდა ჟანდარმერიასთან, შეიარაღდა და დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება; ამიტომ ხალხი „პატრიოტების“ განიარაღებას მოითხოვდა და შველას ისევ ხელისუფლებისგან ელოდა. ამ ჩანაფიქრის მიზანიც ეს იყო.



შეკრიბა
**ვაჟა თვალავაძემ**

ხვალ

# ზუგდიდი მხარს უჭერს აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას

**როგორც ვიუწყებოდით, 2008 წლის 12 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეცსამსახურების თანამშრომლებმა თბილისის აეროპორტში სრულიად უკანონოდ, ერთი საათით დააკავეს აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია. მას ჩამოართვეს საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობის პასპორტები, პირადი ტელეფონი და მოხსნეს რეისიდან (თბილისი-კიევი-მოსკოვი)ძ.**

დღემდე ვლადიმერ ვახანია იმყოფება საქართველოში საბუთების გარეშე, რის გამოც შეზღუდულია მისი გადაადგილების უფლებები და უკვე ხუთი თვეა მოწყვეტილია თავის ოჯახს (ჰყავს მეუღლე და სამი შვილიძ რომელიც ჯერჯერობით ცხოვრობს მოსკოვში.

ფაქტია, რომ უხეშად დაირღვა მისი, როგორც საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები, ამასთან საერთაშორისო ნორმებიც.



მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერ ვახანიამ არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს და საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს პრეზიდენტიც, სამწუხაროდ, არანაირი რეაგირება დღემდე არ ჩანს.

13 თებერვალს, 13:30 საათიდან ვლადიმერ ვახანიას მშობლიური ზუგდიდის მოსახლეობის სურვილით, ქ. ზუგდიდში გაიმართება მხარდამჭერი მიტინგი.

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

ღამეა. ცოლი მიხოს ეჯაჯგურება.

– შენ რა, შეიშალე? ღამის სამი საათია, რა მოხდა?

– იცი, თავის ტკივილმა გამიარა.

* * *



– ნახეთ ერთი, რა ხდება! გარშემო ყველგან სექსი, ეროტიკა და პორნოგრაფიაა! საზიზღრობაა ამის ყურება!

– სამაგიეროდ მონაწილეობაა სასიამოვნო!!!

* * *

– როგორ გრძნობთ თავს? – ეკითხება ექიმი ავადმყოფს ოპერაციის შემდეგ.

– ახლა არა მიშავს. აი, ოპერაციამდე კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავში ურო ჩამცხეს...

– გთხოვთ, გვაპატიოთ, ქლოროფორმი გაგვითავდა და...

* * *

ფეხმძიმე ებრაელი გინეკოლოგთან მივიდა.

– ნაყოფი არასწორად წევს, შებრუნებულია, – ეუბნება მას ექიმი გასინჯვის შემდეგ.

– ვაი! რა უნდა ვქნა, ექიმო?

– ბავშვის მამაც ებრაელია?

– კი.

– მაშინ ნუ ინერვიულებთ: ბავშვი გამოძვრება ამ სიტუაციიდან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.